წელიწადი მეოთხე    ფასი 10 კ.    პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 25 მარტი
1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისსი, რევოლიუციის მუზეუმი—პეტრე გელეიშვილი:

№ 62 (10)

## ჟურნალის შინაარსი

ღირსეულ პასუხს მიიღებენ — **ა. ვადაჭკორია**; ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ—**ს. ელიაძე**; ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის—**ნ. ელიავა**; ახალი ინტრიგები—**კ. მაჭარაძე**; საბჭოთა დელეგაციის კიდევ ახლი გამარჯვება—**კ. ჭეიშვილი**; „ვილაც პეშკოვი“; **ლეო შენგელაია**; ადგილობრივი მრეწველობა —**ი. ნასრია**; წარსულის გამოცდილებიდან — **ვასილ ფრანგიშვილი**; უპარტიო ახალგაზრდობა—**გიორგი ქარაბაკი**; მელიორცია საქართველოში—**ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი**; ამომწვარი ნიშანი—მოთხრობა—**როდიონ ქორქია**; სახელმწიფო ოპერა— **მანი**; წერილი პროვინციიდან.

# ღირსეულ პასუხს მიიღებენ

ოქტომბრის რევოლიუციის ძლევა-მოსილი მაგალითი, მისი განმტკიცება და აღმშენებლობითი უნარიანობა შიგნით, ხოლო კომუნიზმის იდეის მძლავრი განვითარება გარედ, უთუოდ რომ ემუქრება მსოფლიოში არსებულ ბურჟუაზიულ სამყაროს. კაპიტალისტურ მსოფლიოს ამ ჯალათებმა და საბჭოთა კავშირის მოძულე მტრებმა, ადრე იქნება ეს თუ გვიან, მსგავსად მეფის რუსეთისა, ადგილი უნდა დაუთმონ კაპიტალიზმისა და მონობის უღლის ქვეშ მგმინავ მუშებისა და გლეხების სოციალისტურ ძალა-უფლებას.

ჩვენი რევოლიუციის მაგალითი ემუქრება ბრიტანეთის იმპერიის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილებს —ჩინეთსა და ინდოეთს. ორი უკანასკნელი წარმოადგენს ინგლისის ბურჟუაზიის საყვლეფ კოლონიას. ამ ქვეყნების რევოლიუციონური მოძრაობა ართმევს ინგლისის კაპიტალისტებს ძარცვისა და გლეჯის თავისუფალ საშუალებას.

ჩინეთის რევოლიუცია გასცეს, გასრისეს, მისი მამოძრავებელი ძალები სისხლის მორევში ამოახრჩვეს. მაგრამ რევოლიუცია მაინც სცოცხლობს და განაგრძობს წინსვლას დასახულ მიზნების მისაღწევად. ჩინეთის რევოლიუციის განვითარებას უთუოდ შეუძლია მოგვცეს ანალოგიური რევოლიუციები ევროპის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში.

ჩინეთის მაგალითს შეუძლია მოგვცეს რევოლიუცია სამას მილიონიან ინდოეთში, იმ ინდოეთში, რომელც საუკუნოებით ატარებს ინგლისის „სამეფო გვირგვინის ძვირფასი თვალის“ სახელწოდებას, და რომლის ეროვნული თვით გამორკვევა გაცამტვერებას უქადის ყოვლის შემძლე დიდ ბრიტანეთის იმპერიას.

ამიტომაც არის, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა პოლიტიკური ბატონობა ვერ მოუნელებია საერთაშორისო რეაქციის მებაირახტრე ინგლისის იმპერიალიზმის ლორდებს, ჩემბერლენებსა და ხიკსებს, გრაფებსა და პანებს. და ეს უკვე სასიკვდილოდ განწირული ლეშები დაძრწიან ანთებულ ჩირაღდნებით ხელში კარ-დაკარ, მრისხანე ომის გასაჩაღებლად, რაც რაღა თქმა უნდა უმთავრესად მიმართული იქნება საბჭოთა მშრომელების წინააღმდეგ, და ყველაფერი ის რაც-კი აქამდე შეუქმნია მშრომელ კაცობრიობას, უნდა შეეწიროს ომის საშინელ სტიქიას, თოფ-ზარბაზნების გამაყრუებელ ჭექა-ქუხილში უნდა მოისპოს და გაევერანდეს მილიონების სიცოცხლე, კულტურა, კეთილდღეობა.

უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა განიცადეს მთელი რიგი განსაკუთრებული მოვლენებისა, რომელნიც ააშკარავებენ, რომ იწყება მსოფლიო ბურჟუაზიის გაафთრებული იერიშები პროლეტარულ დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ.

ბანდიტური თავდასხმა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე ლონდონში, თავხედური და სილაყბეზე დამყარებული ულტიმატუმები, ჩანძოლინის თავდასხმა ჩვენს საელჩოზე პეკინში, საბჭოთა საკონსულოს გარემოცვა შანხაიში, ტერორისტული ცდები, — ვოიკოვის განგმირვა —რუს თეთრგვარდიელთა მიერ პოლონეთში ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქების განზრახვები ქვეყნის შიგნით, და უკანასკნელად — კი ყოვლად საზიზღარი და ღრმად აღმაშფოთებელი ეკონომიური კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულება შახტის რაიონში—ყველაფერი ეს შემოტევის აშკარა მთლიანი ჯაჭვის რგოლებია.

ვაკვირდებით — რა უკანასკნელ აღმაშფოთებელ მოვლენებს—მთელი სიცხადით ვრწმუნდებით, რომ ყველა ეს დიდი და პატარა მტაცებლები მოქმედებენ და აზ-

რონებენ ერთისა და იგივეს ხელით, ლონდონის კარნახით.

რატომ ასე ცოფმორეული ეხეთქება ინგლისის ბურჟუაზია საბჭოთა რესპუბლიკების ციხე-სიმაგრეებს და რატომ არ აწარმოებდა ის შეტევას უფრო ადრე 5—6 წლის წინად, მაშინ, როდესაც ჩვენ უფრო გაცილებით სუსტნი და მოუმზადებელი ვიყავით?

1917—21 წლებში ინგლისის იმპერიალიზმმა ბოლშევიკებთან შეიარაღებულ ბრძოლაში განიცადა სასტიკი და კატასტროფიული მარცხი. ინგლისის ბურჟუაზია ფიქრობდა, რატომ უნდა შეეწიროს ბოლშევიკების უდღეურ „ექსპერიმენტებს“, თუნდაც ერთი ინგლისელი ჯარის კაციც—კი, როცა საბოლოო გამარჯვება მაინც ჩვენია, ისინი ისედაც დამარცხდებიან, თავისავე სისხლში ჩაიხრჩვებიან; ომიდან მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის დროს ბოლშევიკები ვერ გადასწყვეტენ ქვეყნის სამეურნეო აღდგენის ამოცანებს და წინასწარმეტყველებდენ ქვეყნის აუცილებელ დაღუპვას ხან 1922 წელში მძვინვარე უჩვეულო შიმშილისაგან, ხან საბჭოების კაპიტალისტურ გარდაქმნას, კონტრ-რევოლიუციას ქვეყნის შიგნით და სხვ.

მათი იმედები დაიმსხვრა. დღეს ისინი ხედავენ რომ რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხებს პოლიტიკურ ძალაუფლების ხელში აღებასთან ერთად შეუძლია მისი ღირსეულად გამოყენება. შეუძლია ქვეყნის მართვა-გამგეობა. მსოფლიოს ბურჟუაზია და მათს ფერხულში მდგომი ყველა ჯურის სოციალ - გამცემლები დღეს ჩვენზე უკეთ ხედავენ, რომ საბჭოთა სოციალისტური ქვეყანა კი არ იღუპება, არამედ იზრდება, ვითარდება და მისი წითელი აჩრდილი წალეკვას უქადის ბურჟუაზიულ სამყაროს. ისინი ხედავენ ჩვენი სასოფლო - მეურნეობისა და მრეწველობის წინსვლას, რაც იმავე დროს ნიშნავს სოციალიზმის მშენებლობის ჩქარის ტემპით განვითარებას.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი მტრების და განსაკუთრებით ინგლისის კონსერვატორების ურყევი გადაწყვეტილება ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში დაუბრუნდენ ძველ ნაცად გზებს — ომსა და ინტერვენციას, ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციას შიგნით, რომლითაც თუ ვერ მოსპობენ საბჭოების ქვეყანას,—დროებით მაინც შეაჩერებენ მის სასიცოცხლო მაჯის ცემას.

ჩვენი მთავრობა აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს მშვიდობიან პოლიტიკას. ის არ აყვა ომის გამომწვევ მიზეზებს, არ აყვა თავზე დამტყდარ არც ერთ საბჭოთა სახელმწიფოებრივ უფლებების შემლახველ პროვოკაციებს. საბჭოთა მთავრობა და პარტია მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ—საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს სჭირდება მშვიდობიანობა სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, სჭირდება მშვიდობიანობა მუშებისა და გლეხების ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. საბჭოთა მთავრობა დიდის ხალისით ეგებება ყოველგვარ წინადადებას და მზადაა განიხილოს ის, რომელიც კი დაამყარებს ქვეყნად ამ სანატრელ მშვიდობიანობას; გენუის კონფერენციაზე ამხ. ჩიჩერინმა (1922 წ.) პირველმა წამოაყენა—საყოველთაო განიარაღების საკითხი.

„შეიარაღების საყოველთაო შემცირება და ყოველგვარი იმისთანა წინადადებისთვის მხარის დაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიალიზმის ტვირთის შემსუბუქებას, იმ პირობით, რომ შემცირებულ იქნას ყველა სახელმწიფოთა არმიები და ომის წარმოების ბარბაროსული ფორმები სავსებით იქნება აკრძალული, მაგალითად: ხმარება შხამიანი გაზებისა, საჰაერო შეიარაღებული ბრძოლა და სხვა გამანადგურებელ საშუალებათა გამოყენება მშვიდობიან მოსახლეობის წინააღმდეგ“.

საბჭოთა დელეგაციის ამ სენსაციურმა წინადადებამ როგორც მოსალოდნელი იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ვერ ჰპოვა გამოძახილი. საბჭოთა მთავრობის საქმიანმა წინადადებამ განიცადა მარცხი სამხედრო ტვირთის შემსუბუქების შესახებ მის მიერ მოწვეულ მეზობელ სახელწიფოთა კონფერენციაზედაც—კი. სამწუხაროდ არც ამ პატარა ფინიებმა დაუჭირეს მხარი ჩვენს მშვიდობიან ზრახვებს.

დღეს მიმდინარეობს ერთა ლიგის ჟენევის კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, ისე როგორც ყოველთვის, წარსდგა საბჭოთა დელეგაცია წინადადებით სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ. გერმანიის წარმომადგენელი თანაგრძნობით შეხვდა განიარაღების საკითხს. გერმანია, რომელმაც ყველაზე მეტი სიმწვავე განიცადა წარსულ ომიანობის დროს, და რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ ომიანობაში, ახალს და უფრო საბედისწეროს ავანტიურას დიახაც, რომ ვერ აყვებოდა. ვერსალის „ზავით“ ფიზიკურად განადგურებულ გერმანიას დღეს ესაჭიროება არა ავანტიურა, არამედ მშვიდობიანი კულტურული სახელმწიფოებრივობა და მეზობლებთან კეთილი ურთიერთობა.

ალსანიშნავია, რომ ინგლისის წარმომადგენელი ლოუდენიც—კი იძულებულია განიარაღების სესიაზე განაცხადოს, რომ საბჭოთა პროექტის ზედმიწევნით შესწავლა მეტად საინტერესო და საჭიროა.

ინგლისის წარმომადგენლის ამგვარი განცხადება—კი ეს არის ნამდვილი თვალთმაქცური მორიგი დიპლომატიური მანევრი, რომლითაც სურთ ომის წინააღმდეგ დარაზმულ მასების გაბრიუება და განიარაღების საკითხის ჩვეულებრივად მიფუჩეჩება.

საბჭოთა კავშირი ნებაყოფლობით ახდენს წითელი არმიის რიცხვობრივ შემცირებას, მაშინ როდესაც მისი ტრადიციული მტრები; ერთმანეთს ეცილებიან სამხედრო საომარ ტეხნიკის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში.

ჩვენ არ ვიცით და წინასწარ არც შეგვიძლია იმის თქმა, თუ როდის დამთავრდება ეს დიდი ისტორიული ჭიდილი, რომელიც არსებობს დღეს თანამედროვე ქვეყნიერების ორ საზოგადოებრივ, — სამკვდრო-სასიცოცხლოდ განწყობილ სისტემათა შორის, არ ვიცით თუ როდის დაირღვევა დროებითი არსებულ მშვიდობიანობის სწორ წონაობა მებრძოლ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, როდის გაწყდება ნერვი მოთმინებისა და კაცობრიობა კვლავ გაადეშვება ომისა და სისხლის მორევში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მომენტი აუცილებელია, მის მოახლოებას აჩქარებენ თვით ჩვენი მტრები.

ამიტომაც არის, რომ საკავშირო რესპუბლიკებში გაერთიანებული მშრომელები ფხიზლად სდგანან თავისუფლებისა და რევოლიუციის სადარაჯოზე. ამიტომაც არის, რომ პარტია, ხელისუფლება და მის გარშემო დარაზმული მშრომელთა ძირითადი ორგანიზაციები ანგარიშს უწევენ მომენტის ყოველგვარ სერიოზულობას და ისე, როგორც მისი მტრები, თითონაც არა ნაკლებ ემზადებიან არა ომისათვის,—არამედ ომში თავდაცვისათვის.

გარდა იმისა, რომ საბჭოთა მშრომელებს მტრის ზურგში მოეპოება მეგობართა მილიონები, მისი სამხედრო მრეწველობის განვითარება, განვითარება ქიმიურ მრეწველობის დარგში უკანასკნელ წლების განმავლობაში მაინც გვაძლევს საბუთს დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენს თვალსა და ყურს წითელ არმიას, საზღვაო და საჰაერო ფლოტს მისცემს საუკეთესო სამხედრო პროდუქციას საბჭოთა მიწა- წყლის ღირსეულად დაცვის საქმეში.

ჩვენი ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელება, ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ტემპის გაძლიერება არის ჩვენი პასუხი მტრებისადმი: ომი არ გვინდა, მაგრამ მზად ვართ თავდაცვისათვის.

**ა. ვადაჭკორია.**

# ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ საქართველოს მრეწველობის ხვედრითი წონა ყოველ წლიურად იზრდება, მრავლდება ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოო ერთეულების რიცხვი და მრეწველობის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, საქართველო ჯერ კიდევ ითვლება სასოფლომეურნეობის ქვეყნათ და აქ არსებობისათვის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ნაწარმოები. სწორედ ამიტომ არის, რომ ხელისუფლების ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის განვითარებას და ამ მიზნით დიდძალ კრედიტებს აძლევენ კოლექტიურ და კერძო მეურნეობებს.

ხელისუფლების ასეთი განსაკუთრებული მზრუნველობა, სხვათა შორის, იმითაც არის გამოწვეული, რომ საქართველოს ნიადაგი ხელს უწყობს ჩვენში გარდა ხორბლეულის მოყვანისა, კულტურული მცენარეების გავრცელების საქმესაც.

ამ მხრივ საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით, გამონაკლის კუთხეს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია ფართოდ განვითარება ისეთი მცენარეების, როგორიცაა: ჩაი, ბამბა, მანდარინი, ლიმონი, კანაფი, ქარხალი; თხილი; თუთის ხე; ვენახი; დაფნა და მრავალი სხვა.

ყველა ამ კულტურული მცენარეების მოშენებას ესაჭიროება შესაფერი აგრონომიული ცოდნა და განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლებამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძლიერ ბევრის გაკეთება შესძლო. ჩვენ აქ არ გამოუდგებით ყველა იმ მიღწევების აღნუსხვას, რომელიც უკვე გვაქვს. ამის შესახებ დაინტერესებული მკითხველი არა ერთ ცნობას შეხვდებოდა საბჭოთა პრესის ფურცლებზე.

ნაწილობრივი შეფერხება სასოფლო მეურნეობის განვითარებამ განიცადა გასული წლის მოუსავლიანობით. როგორც ვიცით, გამუდმებულმა წვიმებმა შარშან საგრძნობლად შეამცირა მოსავლის რაოდენობა, რამაც გლეხობა ჩააგდო ეკონომიურ ხელმოკლეობაში. ბევრ მშრომელ გლეხს ნახევრად საყოფი სარჩოც არ მოსვლია და ის იძულებულია დანაკლისი შეავსოს ნაყიდი პროდუქტებით. საჭირო შეიქნა რამოდენიმე მილიონი ფუთით მეტი ხორბლისა და სიმინდის შემოტანა იმასთან შედარებით, რამდენიც ნორმალური მოსავლიანობის წლებში შემოქონდათ საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დროზე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას და დამშეული გლეხობა უზრუნველყო შემოტანილ ხორბლითა და სიმინდით. ამ მხრივ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობ დაბრკოლებებს აღარ ექნება ადგილი. მაგრამ ამასთან ერთად გადაუდებელ ამოცანად სდგას საკითხი გლეხობის სათესლე ხორბლითა და სიმინდით მომარაგების შესახებ.

როგორც ვიცით, მოუსავლიანობამ ეს საკითხიც მწვავედ დასვა დღის წესრიგში, რომელიც მოითხოვდა სასწრაფო მოგვარებას. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმ გარემოებამ, რომ ხანგრძლივმა და ნაადრევად დაწყებულმა ზამთარმა საგრძნობლად შეაფერხა საშემოდგომო თესვა, როცა გლეხობა უკეთ არის მომარაგებული როგორც მუშა-საქონლით, ისე სათესლე ხორბლეულითაც.

გასული წლის შემოდგომაზე გაცილებით ნაკლები სივრცე დაითესა ჩვეულებრივთან შედარებით. ეს დანაკლისი უნდა ანაზღაურდეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, მაგრამ აქაც გლეხობას წინ ელობება მთელი რიგი დაბრკოლებები. მარტი უკვე თავდება და საქართველოს მინდვრებში ჯერ კიდევ დიდი თოვლი სძევს. ასეთ არაჩვეულებრივმა ზამთარმა შესამჩნევათ გააძნელა საქონლის გამოკვების საქმე და რაც მთავარია, გლეხობას არ გააჩნია სათესლე ხორბალი, განსაკუთრებით კი სიმინდი.

უკვე აქედანვე აშკარაა, რომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებას ბევრი დაბრკოლებები გადაელობება წინ, რომლის დაძლევა მოითხოვს ხელისუფლების სათანადო ორგანოების და აგრეთვე მშრომელი გლეხობის განსაკუთრებულ ენერგიას და მთელი ძალღონის მოხმარებას საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა ხელისუფლების მთელი გულისყური უმთავრესად დღეს სწორედ აქეთკენ არის მიმართული. საგაზაფხულო თესვის კამპანიის ირგვლივ მუშაობას აწარმოებენ სათემო საბჭოებთან შემდგარი სამეულებიდან დაწყებული, თვით საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოღვაწეებამდი. მიღებულია გადამჭრელი ზომები სათესლე ხორბლის მოსამარაგებლად და მისი თავის დროზე გლეხობისათვის გადასაცემად, ეძლევათ გრძელვადიანი კრედიტი კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ გლეხობას, მიღებულია ზომები სასოფლო-სამეურნეო იარაღების რაციონალურად გამოყენებისათვის მეურნეებს შორის და მრავალი სხვა.

ყველა ეს ღონისძიებები რა თქმა უნდა, სათანადო ნაყოფს გამოიღებს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩასატარებლად.

უმთავრესი როლი თესვის კამპანიის ჩასატარებლად საქართველოში ეკისრებათ მიწათმოქმედების კომისარიატს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, საკრედიტო ამხანაგობებს და გლეხკომებს. ყველა ამ ორგანიზაციებს თავიანთი ხაზით დაკისრებული აქვთ განსაზღვრული მოვალეობა, რომელთა თავის დროზე და სისწორით გატარებას შეუძლია მოგვცეს სასურველი შედეგი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მიმდინარე თესვის კამპანიას ფხიზლად ადევნებს თვალყურს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია და იკვლევს, თუ როგორ ატარებენ ზემოხსენებული ორგანიზაციები მათზე დაკისრებულ დირექტივებს. ინსპექციების ორგანოები ადგილობრივ ახდენენ იმის შემოწმებას, თუ რამდენად სწორედ ხმარდება თავის დანიშნულებას გაცემული კრედიტები, როგორის ენერგიით მუშაობენ ადგილობრივი ორგანოები და რა დეფექტების აღმოფხვრაა საჭირო თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

ასე რომ, ცენტრალური ორგანოები აკეთებენ ყველაფერ იმას, რაც მასზეა დაკისრებული. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მარტო ამით დაკმაყოფილება შეიძლებოდეს და საჭირო არ იყოს თვით მშრომელი გლეხობის და მასთან ახლო მდგომ ორგანოების ამოძრავება.

ამ მხრივ განსაკუთრებული როლი სოფლად ეკისრებათ სათემო და სასოფლო საბჭოებს, მათ აღმასკომებს, გლეხკომებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

ამჟამად მაზრებში მიმდინარეობს საბჭოების საანგარიშო კამპანია. საბჭოს დეპუტატები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს თავიანთი წარსული მუშაობის შესახებ. აი, ეს საანგარიშო კრებები გამოყენებულ უნდა იქნას საგაზაფხულო თესვის კამპანიის პოპულიარიზაციისათვის გლეხობის ფართე მასებში. საბჭოს დეპუტატებმა უნდა განუმარტონ გლეხობას ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებები თესვის კამპანიაში და აგრეთვე მოუწოდონ მათ, რომ გლეხობამ მთელი თავისი ძალღონე მოახმარონ თესვის საქმეს. ეს კიდევ ცოტაა, ამავე კრებებზე უნდა მოუწოდონ ისეთ გლეხებს, რომელთაც მუშასაქონელი გააჩნიათ, ან სათესლე ხორბალი და სიმინდი აქვთ, გაუნაწილონ და მიაქირაონ ასეთი იმ ღარიბ გლეხებს, რომელთაც არც მუშა-საქონელი ყავთ და არც სათესლე ხორბალი გააჩნიათ. ამასთან ერთად, ხელისუფლების ორგანოებმა დაგზავნეს მაზრებში განსაზღვრული რაოდენობით სიმინდი სათესლე სიმინდზე გადასაცვლელად. საჭიროა გლეხობამ ვისაც საუკეთესო და სავარგი-

სი სათესლე სიმინდი მოეპოვებათ, გადასცვალოს ასეთი სახმარ სიმინდზე დაუბრკოლებლივ.

კოოპერაციის და საკრედიტო ამხანაგობების მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თესვის კამპანიას.

უფრო დიდი მოვალეობა აწევთ გლეხკომებს. გლეხკომები სოფლად ისეთი ორგანიზაციებია, რომლებიც მოწოდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ ღარიბებს გლეხობას, წითელ-არმიელთა ოჯახებს, ინვალიდებს და ქვრივ-ობლებს. ასეთი დახმარების გაორკეცება სწორედ ამჟამად არის საჭირო, როცა ზემოხსენებული ჯგუფები ყველაზე უფრო ხელმოკლეობას განიცდიან. გლეხკომებმა მთელი თავისი შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ მათ დასახმარებლად თესვის კამპანიაში, შეადგინონ ჯგუფები ღარიბთა ყანების დასათესად და გასათოხნად და აგრეთვე უკიდურესად გაჭირვებულთ უფასოდ უნდა მიაწოდონ სათესლე ხორბალი და სიმინდი.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ სოფლად არსებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამქირავებელ და შემკეთებელ პუნქტების სწორ მუშაობას. საწყობებში არსებული მანქანები რაციონალურად უნდა იქნას გამოყენებული, ხოლო რომელთაც შეკეთება ესაჭიროებათ, დაუყოვნებლივ შეაკეთონ.

ამ საქმის მეთვალყურეობა ევალება თემალმასკომებთან გამოყოფილ თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამეულებს, ხოლო საერთო მეთვალყურეობა პარტორგანიზაციებს.

ფართედ უნდა იქნეს აგრეთვე გამოყენებული კომკავშირთა ორგანიზაციებიც თესვის კამპანიაში. კომკავშირის წევრებმა კოლექტიურათ უნდა დაეხმარონ ღარიბ გლეხობას მიწების დამუშავებაში.

დრო ფრიად მცირეა, ხოლო სამუშაო ძლიერ დიდი და საპასუხისმგებლო. თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი განვითარება, გლეხობის ეკონომიურად მოღონიერებაც.

ამიტომ ყველა სათანადო ორგანოების და აგრეთვე თვითეული ცალკე მეურნის მთელი ენერგია იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანია ჩატარებულ იქნეს ისე წარმატებით და ნაყოფიერად, როგორც ეს გათვალისწინებული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას.

ამ მიმართულებით უკვე დაწყებული საქმიანობა სრულ საბუთს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მიმდინარე კამპანიაში დაძლეული იქნება ყოველგვარი დაბრკოლებები და საქართველოში არ დარჩება არც ერთი ნაკვეთი სავარგისი მიწა დაუთესავი.

ს. ელიაძე.

# ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის

## II

მრეწველობის გეგმას საფუძვლად უნდა დაედვას უკვე გამორკვეული და მიღებული დებულებები, როგორიცაა: მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია; ჩვენი მრეწველობის შემეცნება, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობის ნაწილისა და მის გეგმასთან შეთანხმების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე ის ამოცანები, რომელიც კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დაუყენეს ამ გეგმას. ასეთებია: 1: დაძლევა არსებული დისპროპორციისა, რაც ნიშნავს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შორის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მათ ნაწარმოებთა რაოდენობის და მათზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდების შეუთანხმებლობას; 2. სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების ფასების ერთმანეთთან დაახლოება; 3. ამ ორი დავალებიდან გამომდინარე ამოცანები — საერთო პროდუქციის მატება, თვითღირებულების და გასაყიდი ფასების დაკლება. შრომის ნაყოფიერების და მუშის ხელფასის ზრდა, სამუშაო დღის შემცირება და სხვ.

ეს პირობებია, ასე ვთქვათ, მოცემული, მათ უნდა გაგვიმუქონ ჩვენი მსჯელობის გზა და ჩააყენონ იგი განსაზღვრულ კალაპოტში. ყოველი ჩვენი მოსაზრება ახალ დარგების შექმნისა და არსებულის განვითარება-გაფართოების შესახებ მათ უნდა შეუფარდოთ.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მაჩვენებლები. გვიდასტურებენ, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. მრეწველობის ხვედრითი წონა ყოველ წელს მატულობს და თუ 1923—24 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 16 პროც., გასულ წლის დამლევისათვის უკვე 25,4 პროცენტამდე ავიდა. ამავე დროს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა 84 პროც. ჩამოვიდა 74.6 პროცენტამდე.

თვით მრეწველობაში სახელმწიფო სექტორი უფრო და უფრო ფართო ასპარეზს იჭერს, კერძოსი კი—მცირდება. ცენზიან მრეწველობაში ხომ თითქმის უკვე გამქრალია კერძო სექტორი, რომელიც 1927 წელს, საკონცესიო მრეწველობის გამოკლებით, შეადგენს მხოლოდ 2 პროც., სახელმწიფო და კოოპერაციის სექტორი კი—91.4 პროც. უდრის.

განვითარების ამ ხაზზე შემდგარი ჩვენი მრეწველობა ეყრდნობა ერთი მხრით საკუთარის, ჩვენი ქვეყნის ნედლეულს და მეორე მხრით—ენერგიისა და სათბობი მასალის იმ აურაცხელ მარაგს, რომელიც ჩვენ ქვეყანაში მოიპოვება.

ნედლეულის საკითხებს შევეხებით მრეწველობის ცალკე დარგებზე მსჯელობის დროს. აქ კი შევჩერდეთ ენერგიისა და სათბობი მასალის საკითხებზე.

**თეთრი ნახშირის, ანუ— წყლის ენერგიის** რაოდენობა საქართველოში უდრის დაახლოებით 2.000,000 ცხენის ძალას. ამათგან ჯერჯერობით ჰიდრო-ელექტრონის სადგურებით გამოყენებულია 20.300 ცხენის ძალა. (გასაბჭოებამდე უდრიდა 1,700 ცხ. ძალას). მისი გამოყენების საკითხი მეტად აქტუალურია, როგორც მრეწველობისათვის საუკეთესო ბაზის შექმნისა და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

გეგმის მხრით ეს საქმე გარკვეულია. უკვე დაწყებულია მთელი რიგი სადგურების აშენება და დამუშავებულია მეორე რიგის სადგურების გეგმები.

მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში შემოვა აბაშის ჰიდრო-ელსადგური 1,600 ცხ. ძალით და ახალქალაქის — 100 ცხ. ძალით, რაც წინანდელთან ერთად— 22,000 ცხენის ძალას მოგვცემს. ხუთი წლის განმავლობაში კი უნდა დასრულდეს დაწყებულის და განზრახულის აგება. ასეთებია რიონჰესი—30,000 ცხ. ძ., აჭარის წყალის — 7,500 ცხ. ძალა, აფხაზეთის სადგური—1,500 ცხ. ძ. ბორჯომის —1,500 ცხ. ძ., კახეთისა—6.000 ცხ. ძ., ოზურგეთისა—750 ც. ძ., და სხვადასხვა სოფლების წვრილი სადგურები ერთად 1,000 ც. ძ. ამრიგათ, ხუთწლედის დასასრულს ჩვენ გვექნება სარგებლობაში 70,000 ცხ. ძალა. შემდეგ, რიგი მიდგება თოფარავანის დიდი სადგურის აგებაზე, რომელიც მოგვცემს — 100,000 ცხ. ძალას და რიონჰესის და ზაჰესის გაფართოებაზე. პირველს მიემატება—30,000 ცხ. ძ., ხოლო მეორეს—36.000 ცხ. ძ. **ამრიგათ, გამოყენებული იქნება სულ 236.000 ცხენის ძალა.** ასეთი იქნება ახლო მომავალში ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის სხვა დარგებისათვის ამოძრავებული წყლის ენერგიის რაოდენობა ამ გეგმის განხორციელება აუცილებელია.

**სათბობი მასალაც,** გარდა ჩვენი მდიდარი ტყეებისა, საკმაოდ მოგვეპოვება, ჯერ მხოლოდ **ტყიბულის ნახშირის სახით,** რომლის რაოდენობაც ოთხ მილიარდ ფუთს უდ-

რის და შემდეგ კი **ტყვარჩელის ნახშირის, გურიის და შირაქის ნაფთის სახით.**

ტყვარჩელში თითქმის დამთავრებულია კვლევაძიების საქმე და სავარაუდოთ მაინც გამორკვეულია მარაგის საკითხი—იგი შეადგენს არა ნაკლებ **12 მილიარდი ფუთისა.**

ამ სიმდიდრეს უნდა დაუმატოთ ნახშირის მაღალი ხარისხი და მისგან საუკეთესო **ხარისხის კოკსის** გაკეთების შესაძლებლობა, რაც უკვე მოხდენილი ცდებით არის დამტკიცებული.

ტყვარჩელის ნახშირის ასეთმა ღირსებამ დააინტერესა სამხრეთ რუსეთის ფოლადის მრეწველობა, რომელიც დაიმედებულია, რომ ახლო მომავალში თავის ბაზათ ამ მაღაროებს გაიხდის და უკვე ეწევა გამოკვლევევის ხარჯებს.

გარდა ამისა, ნახშირის მოხსენებული თვისება, მისი ბუდობების სიმდიდრე და მათი შავი ზღვის ახლო მდებარეობა (ზღვის ნაპირიდან სულ 40 ვერსია) თავდებია იმისა, რომ ეს ნახშირი საზღვარგარეთაც იპოვის ბაზარს. მისი გასაღების ადგილებათ უნდა ჩაითვალოს ხმელთაშუა ზღვის ბასეინი.

მაშასადამე, **ტყვარჩელის ნახშირი დააკმაყოფილებს საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის** მრეწველობის მოთხოვნილებას, დააკმაყოფილებს „იუგოსტალის“ საჭიროებას და მოგვცემს საექსპორტო საქონელს. ამის მიხედვით მუშაობის დაწყების პირველ ხანშივე უზრუნველყოფილად ითვლება — 70—100 მილიონი ფუთი ნახშირის გასაღება. ასეთი წარმოების მნიშვნელობა თავისთავად აშკარაა და მისი განხორციელების საქმეს საპატიო ადგილი დაეთმობა გეგმაში.

რაც შეეხება ნავთის საქმეს, ის ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის, მაგრამ ის მუშაობა, რომელიც უკვე სწარმოებს გურიაში და შირაქზე, სრულს იმედს იძლევა, რომ ეს დარგებიც მალე განვითარდება ჩვენში. სპეციალისტების დასკვნით გურიის საცდელი ნავთის ჭა, რომელიც უკვე 268 მეტრის სიღრმეზეა გათხრილი, იძლევა, მეტად საიმედო ნიშნებს. ასეთივეა სპეციალისტების აზრი შირაქის შესახებ.იქ ჭა გათხრილია 360 მეტრის სიღრმეზე. თუ ეს იმედები გამართლდა, ნავთის მრეწველობის გაჩაღებას ვერაფერი დააბრკოლებს. ამას გამოარკვევს ახლო მომავალი.

ასეთია ჩვენი მრეწველობის საფუძველი ენერგიისა და სათბობი მასალის მხრით.

ახლა გადავიდეთ მრეწველობის კერძო დარგებზე.

აქ დაგვჭირდება მოვახდინოთ მოკლე რევიზია უკვე არსებული მრეწველობის დარგებისა. იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ეთანხმება მათი არსებობა და გაფართოება ზევით წამოყენებულ დებულებას; რამდენად საჭიროა და სასარგებლო მათი სწორათ ჩვენში განვითარება, როგორც ჩვენი, ისე მთელი კავშირის მეურნეობისათვის და რამდენად ურყევი ბაზა აქვთ ნედლეულის მარაგის მხრით.

ამ თვალსაზრისით მთელი ჩვენი მრეწველობის დარგები შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად: პირველში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ დარგებს, რომელთაც უკვე მიაღწიეს (რაოდენობით, რასაკვირველია), განვითარების იმ დონეს, რომლის შედეგაც მათი ზრდა და გაფართოება მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილების ზრდასთან უნდა იქნეს დაკავშირებული, ან ნედლეულის რაოდენობითაა განსაზღვრული. ასეთებია, ჩვენის აზრით, პოლიგრაფიული, ტყავისა და საპონ-ზეთის მრეწველობა.

მეორე ჯგუფშიკი შევა ის დარგები, რომელთაც ნედლეულის მხრით ჯერ განვითარების ფართო ასპარეზი აქვთ დარჩენილი და ამასთან ერთად მათი ნაწარმოები აკმაყოფილებს, ან შეიძლება აკმაყოფილებდეს., საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეთ არსებულ მოთხოვნილებასაც.

ასეთებია სამთო, ხე-ტყის, საფეიქრო და თამბაქოს მრეწველობა, და აგრეთვე სპირტისა და კონიაკის, ხილისა და ბოსტნეულის სახმობი და კონსერვების დამამზადებელი მრეწველობა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა დარგები..

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლითონის მრეწველობას, რომელსაც ჯერჯერობით ნედლეულის ბაზა არა აქვს ჩვენში, მაგრამ განსაკუთრებული საჭიროებანი, მათ შორის ჩვენი მრეწველობისა მოითხოვენ მის დაცვას და ნაწილობრივ გაფართოებასაც.

განვიხილოთ ყველა ესენი ცალ-ცალკე.

**ნ. ელიავა.**

# ახალი ინტრიგები

რაც დრო გადის, საბჭოთა ხელისუფლება თანდათან მაგრდება როგორც საგარეო, ისე საშინაო ფრონტზე. რაც დრო გადის მით უფრო ძლიერდება იგი ეკონომიურად და პოლიტიკურად. საბჭოთა ხელისუფლების გეგმიანი მუშაობა აშკარად ადასტურებს, თუ როგორის ჩქარის ტემპით მიმდინარეობს სოციალისტური მშენებლობა.

ევროპის მუშათა კლასის სიმპატია თანდათან იზრდება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რადგან ის დარწმუნდა. რომ საბჭოთა ხელისუფლება იბრძვის წვრილი ერების და მშრომელი ხალხის ნაციონალურ და სოციალურ ჩონობისაგან გასანთავისუფლებლად, სოციალიზმის განხორციელებლად.

საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის არსებობის პერიოდში ამ ტენდენციის უარყოფა არავის შეუძლია. ოდესლაც განაპირა ქვეყნებათ წოდებული წვრილი ეროვნებები, სადაც თვითმპყრობელობა განგებ უწყობდა ხელს მათ დაჩაგვრა-დამონებას და ეკონომიურ დაქვეითებას, ამჟამად ასეთ ქვეყნებში მთავარი ყურადღება ექცევა მრეწველობის განვითარებას და ფაბრიკა - ქარხნების აგებას. დღეს ძველებური ზღუდე აღარ არსებობს საბჭოთა კავშირში შემავალ დიდ და პატარა ერთა შორის. სახელმწიფოს დოვლათი ყველას პროპორციონალურათ უნაწილდება, ხოლო მისი მოხმარება დამოკიდებულია ცალკე რესპუბლიკების უნარიანობაზე, მათ გეგმიან მუშაობაზე.

საბჭოთა წყობილების სიძლიერეს დღეს კარგად ხედავენ მისი გარეშე მტრები, იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამიტომაა, რომ ისინი ახდენენ სხვადასხვა პროვოკაციულ გამოსვლებს, როგორც მაგალითად ვოროვსკისა და ვოიკოვის მოკვლა, ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობისა და საკონსულოების გაჩხრეკა და სხვა, მაგრამ ამაოა მათი ცდა. ჩვენ არ ჩავებმებით ომში. ჩვენ არ გვინდა ომი, და თუ ვინმე გაბედავს თავდასხმას მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაზე, ასეთ დროს მუშები და გლეხები შესძლებენ სათანადო პასუხის გაცემას.

უკანასკნელ დროს როგორც სჩანს კვლავ დაიწყეს ახალი ინტრიგების შექმნა. დონბასში აღმოჩენილ იქნა ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციონერთა ორგანიზაცია, რომელიც ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოღვაწეობას. მათ დასაცავად გამოსვლას არ დაერიდა გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობა და ამ მიზნით შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური მოლაპარაკება. აშკარაა, რომ ამ ფაქტით გერმანიის მთავრობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირში კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას. ასეთი მოქმედებით მას სურს ზეგავლენა მოახდინოს საბჭოთა სასამართლოზე გერმანელ კონტრ-რევოლიუციონურ ინჟინრების გასანთავისუფლებლად.

საბჭოთა სასამრთლო რა თქმა უნდა დაწვრილებით შეისწავლის მათ დანაშაულს და თუ რომელიმე დაპატიმრებულთაგანი უდანაშაულო აღმოჩნდა,არც დაისჯებიან, მაგრამ დამნაშავეებს შესაფერ სასჯელს მისჯის პროლეტარული სასამართლო.

არა ნაკლებ საგულისხმოა საფრანგეთის მთავრობის მიერ წარდგენილი სარჩელი შეერთებული შტატების სასამართლოში საბჭოთა კავშირის მიერ სავაჭრო ოპერაციების გასაადვილებლად გაგზავნილ ოქროს ზოდებზე, რომ თითქოს ეს ოქრო საფრანგეთის საკუთრებას წარმოადგენდეს, რომელიც შეტანილი იყო მსოფლიო ომის დაწყებამდე რუსეთის ბანკში.

საფრანგეთის მთავრობამ რა თქმა უნდა იცის, რომ ეს ოქრო მას არ ეკუთვნის, რომ იგი არ დარჩენია საბჭოთა ხელისუფლებას მეფის რუსეთისაგან, მაგრამ საფრანგეთის რეაქციონერებს ამით სურთ შექმნან საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფლიქტი და მით ომში ჩაითრიონ ეს უკანასკნელი, ყოველ შემთხვევაში თუ ამ მიზანს ვერ მიაღწევენ ეკონომიური ბლოკადის ძველი გეგმები მაინც განახორციელონ და ჩაშალონ ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობა. რომელიც უკანასკნელ დროს ფართედ ვითარდება. ასეთი ინტრიგებით ფიქრობენ რეაქციონერები საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ იზოლიაციას, სოციალისტური აღმშენებლობისათვის ხელის შეშლას და საშინაო და საგარეო კრიზისებისა და გართულების გამოწვევას.

ტყუილია მათი ოცნება. საბჭოთა ხელისუფლებას გაცილებით უფრო ცუდ პირობებში უხდებოდა მუშაობა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ამჟამად კი იმპერიალისტებს გაცილებით უფრო ნაკლები შანსები აქვთ, რადგან საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია ეკონომიურად და პოლიტიკურად საშინაო და საგარეო ფრონტებზე. მას შეუძლია გამკლავება და თავდაცვა ეკონომიურ და სამხედრო თავდასხმებისათვის.

საბჭოთა კავშირი, რომელიც სიმბოლოა დაჩაგრულითად მისი აქტიური დამცველია აგრეთვე მსოფლიო მუშათა კლასი და კომუნისტური პარტიები, რომელთა გავლენა ფართე მასებზე დღითი-დღე იზრდება.

საბჭოთა კავშირს, რომელიც სიმბოლოა დაჩაგრული ერებისა და მშრომელი ხალხის განთავისუფლების, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო რევოლიუციას და სოციალიზმის გამარჯვების საქმეს, არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი და მტკიცე, როგორც ეხლა და ალბად ეს იწვევს მისი მტრების—საერთაშორისო რეაქციის ასეთ სისინს და ახმაურებას.

კ. მაჭარაძე.

# საბჭოთა დელეგაციის კიდევ ახალი გამარჯვება

განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მე-4 სესიის შემდეგ, რომელზედაც პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირმა, საერთაშორისო იმპერიალისტებს ხელიდან გამოეცალათ ის ხელსაყრელი არგუმენტი, რომლითაც ისინი ცდილობდენ მშვიდობიანობის და უშიშროების განუხორციელებლობის მიზეზად გამოეცხადებიათ საბჭოთა ხელისუფლება. მისი განზე დგომა „სამშვიდობო“ კონფერენციებზე მონაწილეობისა და საერთაშორისო ვალდებულებებისაგან.

მიუხედავად წინასწარ მიღებულ თადარიგისა, სესიის ხელმძღვანელობის მიერ, რომ საბჭოთა დელეგაციას აქაც არ მოეხდინა ისეთი „უწესო“ და „საагიტაციო“ გამოსვლები, როგორც ეს ჩაიდინა მან ეკონომიურ კონფერენციაზე, დელეგაციამ მაინც მოახერხა დეკლარაციის გამოქვეყნება, რამაც ფარდა ახადა იმპერიალისტების სამშვიდობო „მოღვაწეობას“. საბჭოთა დელეგაციის გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო აშკარად გახდა, რომ ყველა ის კონფერენციები, რომლებიც ასე ხშირად იკრიბება ჟენევაში, თითქოს, უშიშროებისა და მშვიდობიანობის პრობლემის გადასაწყვეტად, ნამდვილად წარმოადგენს იმპერიალისტურ სახელმწიფოების ყურადღების ასაცილებლად და შეცდომაში შესაყვანად.

საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილმა განიარაღების მარტივმა და კონკრეტიულმა პროექტმა მე-4 სესიაზე ჩიხში მოამწყვდია იმპერიალისტების წარმომადგენლები, რომლებსაც არ შეეძლოთ პროექტის განხილვაზე აშკარა უარის თქმა, მის წინაალმდეგ გამოსვლა, ხოლო არც დისკუსიის გამართვა იყო ხელსაყრელი, რადგან ესეც გამოამჟღავნებდა მათ სიყალბეს განიარაღებისა და მშვიდობიანობის საქმეში. შექმნილ უხერხულობიდან თავის დასაღწევად სესიის ხელმძღვანელებმა მიმართეს ძველ ხერხს—საკითხის გარჩევის დროებით გადადებას, რათა უფრო მომზადებული და შეთანხმებული შეხვედროდენ მის გადაწყვეტას. ასეც მოიქცეს, შესწავლისა და დამუშავების მოტივით, საბჭოთა პროექტის გარჩევა მათ გადაიტანეს მორიგ მეხუთე სესიაზე. ესე იგი გადასდევეს ოთხი თვით. ეს დროს სრულიად საკმარისი იყო საერთო იმპერიალისტებისთვის ფრონტის შესამქნელად წარმოდგენილ პროექტის წინაალმდეგ.

ჯერ კიდევ ადრე მე-4 სესიის გახსნამდე იმპერიალისტურმა პრესამ დაიწყო ფართო კამპანია საბჭოთა კონვენციის წინაალმდეგ. ინიციატივა ამ შემთხვევაშიც ანტისაბჭოთა ფრონტის მთავარ ხელმძღვანელებს, ინგლისის შუბლმაგრებს ხვდა წილად, რომლებიც ისე შორს წავიდენ, რომ არ დაერიდენ იმის გამომჟღავნებასაც, თუ რა აიძულებს მათ, რომ ასე თავდადებით იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლებისა და მის მიერ წარმოდგენილ განიარაღების პროექტის წინაალმდეგ.

„მორინგ პოსტმა“ საჯაროდ განაცხადა თავის ფურცლებზე: „არიან საგნები იმაზე უარესი, ვინემ ომი, როგორც, მაგალითად, ოქტომბრის რევოლიუცია. საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც ვერ ვენდობით ჩვენ მსოფლიო რევოლიუციის ხელმძღვანელობაზე უარის თქმაში, ვერ ვენდობით ვერც განიარაღების საკითხში“-ო.

ინგლისის შუბლმაგრებს შვეციის კაპიტალისტური წრეებიც გამოეხმაურენ. შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლევგრენმა ოფიციალურად განაცხადა პარლამენტში, საბჭოთა პროექტის შესახებ მიცემულ შეკითხვაზე: „საბჭოთა პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება ამჟამად, როდესაც ს. კ. (ბ) ისევ ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის საქმეს, შეუძლებელია, რადგან საერთაშორისო ატმოსფერა ვერ არის ამისათვის ხელის შემწყობაა“-ო.

იტალიის ფაშისტურმა პრესამ კიდევ უფრო გარკვეულად სთქვა: „საბჭოთა პროექტის განხორციელება იქნება კაპიტალიზმის განიარაღება რევოლიუციის წინაშე, რაც ხელს შეუწყობს ბოლშევიზმს კაპიტალისტური სისტემის განვითარებაში“-ო.

საბჭოთა პროექტის გარშემო გამართულ კამპანიას სოციალ-პაციფისტებიც გამოეხმაურენ. მეორე ინტერნაციონალმაც შეიმუშავა და გამოაქვეყნა „განიარაღების“ დეკლარაცია, სადაც გამოთქმულია სურვილი ერთდროული და სრული განიარაღების შესახებ, მაგრამ, ახლა, სანამ მთელ რიგ სახელმწიფოებში კაპიტალისტური კლასის ხელშია ძალაუფლება არ მიაჩნია შესაძლებლად მისი განხორციელება. რამდენათაც ვიცნობთ მეორე ინტერნაციონალის პრაქტიკას და დამოკიდებულებას კაპიტალისტური სისტემის მიმართ, რომელმაც თეორიაც კი წამოაყენა კაპიტალთან თანამშრომლობის შესახებ, სოციალიზმის კაპიტალიზმთან შეზრდის შესახებ, დასაჯერებელია, რომ განიარაღების იდეა მისი ხელმძღვანელობით მუდამ განუხორციელებელი იქნება.

პაციფისტების წარმომადგენლებს იმპერიალისტების ოფიციალურ დაწესებულებებში სრულიად არ შეუშლის ხელს მეორე ინტერნაციონალის დეკლარაცია, ან ინგლისის პაციფისტური ორგანიზაციისთვის „საჭირო აღარაა ომები“-ს, რომელშიდაც შედიან ლენობერი, ბერნარდ შოუ, ბენ-ტერნერი და სხვები, განცხადებები, რომ ისინი

მხარს უჭერენ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ განიარაღების პროექტს, რომ შემდეგშიაც შეასრულონ იმპერიალისტური მთავრობის დავალებები, დაიცვან სამხედრო შტატების თვალსაზრისი განიარაღების საკითხში.

ოთხი თვის სამზადისისა და თადარიგის შემდეგ, 15 მარტს გაიხსნა განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მე-5 სესია, რომელმაც უნდა განიხილოს განიარაღების საბჭოთა პროექტი. ამ საკითხის გარჩევამდე, სესია პირველ რიგში შეუდგა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტას, ეხლახან დასრულებულ უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტის მიერ შემუშავებულ რეზოლიუციების და მომავლის სამუშაო გეგმების დამტკიცებას.

საბჭოთა დელეგაციას ამ საკითხების გარშემო გამართულ კამათის დროს მიეცა შემთხვევა, რომ დაწვრილებით განემარტა საბჭოთა პროექტის ძირითადი პრინციპები და მიდგომა განიარაღების პრობლემის გადასაწყვეტად. მან აღნიშნა, რომ უშიშროების და საარბიტრაჟო კომიტეტის წარსული მუშაობა, რომელიც ახდენს სახელმწიფოთა ახალ დაჯგუფებას საოლქო ხელშეკრულებების დადების გზით, არა თუ ხელს უწყობს საყოველთაო უშიშროებას, არამედ უფრო ართულებს მას. და უშიშროების ყველაზე უფრო საიმედო გარანტიათ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ სრული, საყოველთაო და ერთდროული განიარაღების განხორციელება.

ერთი დღის თათბირის შემდეგ, სესიის მეხუთე დღეს, დიდი სიფრთხილით წარმოადგინეს გასარჩევად საბჭოთა პროექტი.

პროექტის დასაცავად გამოსვლის დროს დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ლიტვინოვმა გარკვევით განაცხადა სესიის საყურადღებოდ, რომ ბოლო უნდა მოეღოს მშვიდობიანობის პრობლემის ისეთ მიდგომას, როგორიც ეს ახასიათებს წინანდელ მუშაობას,რომელსაც სამი ზოგადი ხასიათის რეზოლიუცია აქვს გამოტანილი და პრაქტიკულად სრულიად უმნიშვნელო ნაბიჯიც არ გადაუდგამს მათი რეზოლიუციისათვის. მან დაბეჯითებით მოითხოვა, რომ პასუხი გაეცეს: მისაღებია თუ არა კაპიტალისტურ სახელმწიფოებისათვის საბჭოთა კონვენციაში წამოყენებული სრული, ერთდროული და საყოველთაო განიარაღების პრინციპი და მის თანდათანობით გასატარებლად წარმოდგენილი პირველი ერთი წლის ტეხნიკური გეგმა, რის შემდეგ, თითქოს, შეუძლებელი გახდება უკვე ომების წარმოება.

გერმანიის და ოსმალეთის დელეგაცია სავსებით შეუერთდა საბჭოთა პროექტს და მოითხოვა განიარაღების კონფერენციის დაუყონებლივ მოწვევა წარმოდგენილი კონვენციის საბოლოოდ დასამტკიცებლად.

საფრანგეთ-ინგლისის რეაქციონური წრეები, რა თქმა უნდა, არ დარჩენ კმაყოფილი საბჭოთა პროექტის გარშემო შექმნილი ატმოსფერით. ისინი არ მოელოდენ საბჭოთა დელეგაციის ასეთი მტკიცე და გარკვეული პოზიციით გამოსვლას და ოსმალეთ-გერმანიის სრულ სოლიდარობას საბჭოთა პროექტის მიმართ. საფრანგეთ-ინგლისის რეაქციონურმა პრესამ უკვე დაიწყო პროვოკაციული კამპანია საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ. საფრანგეთის რეაქციონური გაზ. „ვოლფა“ აღშფოთებული აცხადებს: „საბჭოთა დელეგაცია ჟენევის ტრიბუნიდან ეწევა ანტი-მილიტარისტულ პროპაგანდას, რომლის მიზანია ნაციონალურ არმიებში რღვევის შეტანა, მათი დისციპლინის დაცემა „და დაშლა“-ო. მეორე რეაქციონურ გაზ. პტი პარიზიენმა“ გერმანია-საფრანგეთის სოლიდარობაში უნდა მოაჩვენოს საზოგადოებას საბჭოთა კავშირის გავლენა მათზე და მათი საბჭოთა პროექტის სასარგებლოდ გამოსვლა გამოაცხადოს „სამთა კავშირის“ არსებობის დემონსტრაციად.

განიარაღების კომისიაში წარმოდგენილი იმპერიალისტური სახელმწიფოები მე-5 სესიაზე უფრო მეტად მოექცენ ჩიხში, ვინემ წინა სესიაზე. მათ ერთი-ორად გაუმართლდათ ის შიში და უხერხულობა, რომელსაც მოელოდენ პროექტის გარშემო დისკუსიის გამართვით. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, უთუოდ, ეხლაც შეეცდებიან, ისინი დისკუსიის შეწყვეტას და პროექტის გარჩევის კიდევ გადადებას, რომელიმე ახალ კომისიაში გადატანას.

ჟენევის პოლიტიკურ წრეებში კიდეც გადაწყვეტილად სთვლიან, რომ პროექტი გადაეცემა განსახილველად 7 წევრისაგან შემდგარ ქვეკომისიას, საბჭოთა კავშირის და შეერთ. შტატების მონაწილეობით.

კომისიის შემდეგ სესიამდე საფრანგეთ-ინგლისის რეაქციონერების განკარგულებაში საკმაო დრო რჩება, რომ კიდევ შეეცადონ უფრო ხელსაყრელი ატმოსფერის შექმნას და საბჭოთა დელეგაციის იზოლიაციას.

საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, არც ისე დაჯერებულია, რომ იმპერიალისტები მიიღებენ საბჭოთა პროექტს და დათანხმდებიან განიარაღებაზე, რადგან ეს შეუძლებელია კაპიტალისტურ სისტემაში, იმპერიალიზმის არსებობის დროს.

საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ის ორგანიზაცია, რომელიც წარმოიშვა ვერსალის ხელშეკრულების ნიადაგზე და მის დასაცავად, რომელიც წარმოადგენს იარაღს იმპერიალისტების ერთი ჯგუფის ხელში მეორეს წინააღმდეგ, ვერ დაიცავს მშვიდობიანობას. ამის დამადასტურებელია ის ომები, რომლებსაც ეხლაც აქვს ადგილი კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში (ეგვიპტე, ჩინეთი, ნიკარაგუა და სხვა). მაგრამ ერთა ლიგა სრულიად არ იწუხებს თავს, რომ გამოვიდეს თავის წევრის—ნიკარაგუას დასაცავად, ბოლო მოუღოს ამ სისხლის ღვრას.

საბჭოთა დელეგაციის ამოცანაში განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში ისეც შედის, რომ საბჭოთა პროექტის წამოყენებით და განიარაღების ინიციატივის აღებით დაარწმუნოს ყველა,რომ იგი გულწრფელად მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ, რომ მისი მიზანია ააცილოს მშრომელ ხალხს სამხედრო ბიუჯეტების მძიმე ფინანსიური ტვირთი და კაცობრიობას ახალი სისხლის ღვრა, მან უნდა ამხილოს თუ ვინ აწყობს ომს და როგორ უნდა დააღწიონ თავის მას.

თუ 1922 წელში, გენუის კონფერენციაზე, სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული საბჭოთა დელეგაციის განცხადება განიარაღების საკითხზე, ამჟამად, ხუთი წლის შემდეგ, იმდენად პოპულიარული გახდა იგი და იმდენად გაიზარდა მასების ზეგავლენა ერთა ლიგაში და განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში წარმოდენილ იმპერიალისტებზე, რომ იძულებული არიან დისკუსია გამართონ საბჭოთა პროექტის გარშემო.

იმპერიალისტების ყოველი ახალი მარცხი და საბჭოთა დელეგაციის მორიგი გამარჯვება კიდევ უფრო აჩქარებს მასების გამორკვევას, ზრდის მათ გავლენას და მათ ორგანიზაციულად დარაზმვას და ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მშვიდობიანობის დასაცავად.

**კ. ჭეიშვილი.**

# „ვიღაც პეშკოვი“

## (მ. გორკის იუბილესათვის)

### II.

ფეხზე დადგა ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდარმერია, გაშმაგებით ეძებდენ ალექსი პეშკოვს. მალე თბილისის ჟანდარმერიას მოდის ცნობა, რომ ალ. პეშკოვი სიზრანში არისო, მაგრამ ეს ცნობა არ გამართლდა. ალ. პეშკოვი ნიჟნი-ნოვგოროდში აღმოჩნდა. 1898 წლის 6 მაისს მას ჩხრეკს და შემდეგ აპატიმრებს ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდარმერია.

ჩხრეკამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, ვერ აღმოაჩინა ვერაფერი, რაც დაადასტურებდა ალ. პეშკოვის რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

1898 წელს 7 მაისს ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი გზავნის შიფრიან დეპეშას თბ. ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს სახელზე, დეპეშაში ეწერა:

„პეშკოვი გაჩხრეკილი და დაპატიმრებულია. დღეს გავგზავნი რკ. გზით თბილისში. **„პოლკ. ეპეცკი“**

ერთი „ტიუკი“, ოქროს ბეჭედი და 35 მან. და 76 კაპ. —აი, ის მზითევი, რომელთაც ალ. პეშკოვი ეტაპში გაემგზავრა. 11 მაისს მ. გორკი უკვე თბილისში იყო, მას მიუჩინეს ბინა მეტეხის ერთ-ერთ საკანში, რის შესახებ ეცნობა პოლიციის დეპარტამენტს მეორე დღესვე —12 მაისს.

თბილისის ჟანდარმერიამ დაატრიალა თავისი აპარატი, შეიქნა ოქმების წერა და დაკითხვები. აი, ზოგიერთი მათგანი.

**I. ცნობები:**

1) როდის გაიგზავნა ლიტ. ა. 21 ივნისს 1897 წ. №: 1290;

2) გვარი, სახელი და მამის სახელი — პეშკოვი ალექსი მაქსიმესძე;

3) დაბადების თარიღი—1898 წლის 14 მარტს; :

4) დაბადების ადგილი — ნიჟნი-ნოვგოროდი;

5) სარწმუნოება — მართლმადიდებელი;

6) შთამამავლობა — ამქარი;

7) ეროვნება — რუსი;

8) ქვეშევრდომობა — რუსეთის;

9) წოდება — ქ. ნიჟნი-გოროდის მეშჩანი;

10) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი—ნიჟნი-ნოვგოროდი;

11) სად არის მიწერილი—ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში;

12) პროფესია— ლიტერატურული შრომა;

13) ცხოვრების საშუალებანი — ლიტერატურული შრომა;

14) ოჯახური მდგომარეობა — ცოლიანი, ცოლი ეკატერინე პავლეს ას. ვოლჟინისა, ყავს შვილი მაქსიმე (9 თვის), ცოლი და შვილი ცხოვრობენ მასთან;

15) ნათესაური კავშირი — მშობლები მკვდარი ყავს, ძმები და დები არა ყავს;

16) მშობლების ან მათ მოადგილე ნათესავების, ანუ მეურვეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;

17) მშობლების ეკონომიური მდგომარეობა;

18) სად მიიღო აღზრდა — სასწავლებელში არ ყოფილა;

19) ვის ხარჯზე იზრდებოდა—

20) იყო თუ არა საზღვარგარეთ, სახელდობრ როდის, სად და რა მიზნით—არ ყოფილა;

21) იყო თუ არა წინედ დაპატიმრებული — იყო 1889 წლის 13 ოქტომბერს ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდარმთა საგუბერნიო მმართველობის მიერ;

22) მიმოკვლევის საფუძველი — მოწმეთა ჩვენება;

23) როდის დაიწყო მიმოკვლევა— 1898 წლის 15 აპრილს;

24) მიმოკვლევის ადგილი — ქ. ტფილისი;

25) გაჩხრეკის ან დაპატიმრების დრო და ადგილი — გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში 1898 წლის 6 მაისს;

26) როდის იქნა პირველად დაკითხული — 1898 წლის 13 მაისს;

27) რა უნახეს გაჩხრეკის დროს—არაფერი, აშკარა დანაშაული გაჩხრეკის დროს არ უპოვიათ, მისი მიწერ-მოწერის გარჩევა გრძელდება;

28) რა ზომა იქნა მის წინააღმდეგ მიღებული — დამწყვდეულია მეტეხის ციხეში.

**II. ნიშნების ოქმი:**

1) სიმაღლე —2 არშინი და 8 ნახ. ვერშ.;

2) წლოვანება — 30 წ.;

3) ორგანიზმის თავისებურებანი — მკერდი გამოწეული აქვს;

4) წელში ჩახრილი;

5) გარეგნული შეხედულება — უბრალო, ჭლექიანი,

6) თმა—ბობრი, მუქი, წვერ-ულვაში თითქმის წითური;

7) თმა—სწორი;

8) თმას არ იპარსავს;

9) თვალი—ცისფერი, ატარებს სათვალეებს;

1) ცხვირი- -სწორი, პირდაპირი, ცხვირის სიგრძე სანტიმეტრი;

11) პირის სახე—რგვალი;

12) ხმა—ყრუ;

13) სიარული —სწორი. “

ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდარმთა სამმართველო ძლიერ ნაწყენი დარჩა, რომ მას არ მიანდვეს საქმის გამოძიება. იგი სწერს ამის შესახებ პოლიციის დეპარტამენტს, რომელმაც არ დააყოვნა და შეკითხვით მიმართა ტფ. ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს, თუ რა იყო საფუძველი პეშკოვის ტფილისში გადმოგზავნის და რატომ ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდ. სამმართველოს არ მიენდო გამოძიების წარმოება.

თბილისის ჟანდარმერიამ თავი იმართლა და შემდეგი მოსაზრებანი წამოაყენა:

1) გაჩხრეკის შემდეგ პეშკოვს შეეძლო დამალულიყო, მით უფრო რომ მას ძლიერ უყვარს ხეტიალი, ასე მაგ., 1891 წელს ვიდრე ის ტფილისში ჩამოვიდოდა ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ფეხით გაემგზავრა ბესარაბიაში, აქედან უნდოდა რუმინიაში გადასვლა, რათა შემდეგ საფრანგეთში გადასულიყო, მაგრამ საზღვრიდან დააბრუნეს, რის შემდეგ წავიდა ყირიმში და ამიერ-კავკასიაში. ტფილისში დარჩა 1892 წლის დამლევამდე, შემდეგ ცხოვრობდა ნიჟ.-ნოვგოროდში, სამარაში, იალტაში, ალუპკაში, პოლტავის და ტვერის გუბერნიებში.

2) პეშკოვის ჩამოყვანა აადვილებს გამოძიებას, ვინაიდან გამოძიების ხელმძღვანელი დაწვრილებით იცნობს საქმეს და მისთვის უფრო ადვილია პეშკოვის ჩქარა დაკითხვა, აქ არიან საქმის უმთავრესი მონაწილენი, რამაც შეამცირა ძალზე პეშკოვის ციხეში ყოფნის ვადა და სხვა.

პოლიციის დეპერტამენტი უკმაყოფილოა ტფ. ჟანდარმერიის პასუხით: (№ 1549, 1898 წლის 27 ივნისი): ის ფიქრობს, რომ არ იყო საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ ალ. პეშკოვი ნიჟნი-ნოვგოროდიდან დაპატიმრებული ეტაპით ტფილისში ჩამოეყვანათ. გამოძიება, რომელმაც დაადასტურა, რომ ალ. პეშკოვი სრულებით უდანაშაულოა, შეიძლებოდა მოეხდინათ ნიჟნი-ნოვგოროდშიო. შემდეგისათვის დეპარტამენტი აძლევს წინადადებას როტმისტრს, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა, უფრო ფრთხილად და მეტი ყურადღებით მოეპყრას ასეთ საქმეებს.

ამნაირად, ჟანდარმერიამ მ. გორკი ნიჟნი-ნოვგოროდიდან ტფილისში გამოასეირნა, გაზომა, აწერა და ხელში შერჩა.... „ვიღაც პეშკოვი“, რომელსაც „ხეტიალი უყვარს და წაკუზული დადის“. **ლეო შენგელაია.**

# ადგილობრივი მრეწველობა

ჩვენში ბევრი ლაპარაკი და ახსნა-განმარტებები, წერა და ბაასია იმ სამრეწველო დარგების შესახებ, რომელთაც ფართო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ისეთი მრეწველობა, რომელიც თავისი პროდუქციით რესპუბლიკანურ და საკავშირო ფარგლებში შექმნილ მოთხოვნილებას ემსახურება, უნებლიეთ იპყრობს საერთო ყურადღებას. აქ გადამჭრელ როლს თამაშობს ერთის მხრით წარმოების სიდიდე, ნაწარმოების სიმრავლე და მთლიანი სახალხო მეურნეობაში მისი ხვედრითი წონა.

ავიღოთ მაგალითისათვის აბრეშუმის გადამუშავება. სამთამადნო წარმოება, ხე-ტყის დამუშავება, ტყავის წარმოება.—ყველა აქ ჩამოთვლილი დარგები რესპუბლიკის ფარგლებში საწარმოო ტრესტებშია ჩამოყალიბებული. საჭირო, როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი თანხებით საშუალოთ უზრუნველყოფილია. პროდუქცია, ცხადია, თანდათანობით ზრდის პროცესშია და წლიდან-წლამდი საგრძნობ წარმატებას იძლევა. მიუხედავად ამისა მილიონ მოთხოვნილებას ის ვერ აკმაყოფილებს. არსებობს კიდევ მრეწველობა და სამრეწველო დარგები, რომლებიც თითქმის საერთო ყურადღების გარეშე იმყოფება, თითქოს ნაკლები მნიშვნელობის არის, მაგრამ თავის დანიშნულებას, თავის სამეურნეო ფუნქციას ასრულებს და ცდილობს შესდგეს გაძლიერება-განვითარების გზაზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის სამრეწველო დარგები, რომლებიც ცნობილია როგორც ადგილობრივი სამრეწველო დარგები. ადგილობრივი სამრეწველო დარგები,— ადგილობრივი მრეწველობა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში **ახალი** მოვლენაა. ეს ის მრეწველობაა, რომელიც აღმოცენებულია ვიწრო ადმინისტრატიული ერთეულის ფარგლებში, იკვებება ადგილობრივი ნედლეულით და უმეტეს შემთხვევაში აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას.

ასეთი მრეწველობის აღორძინების დატა იწყება საქართველოში 1921 წლიდან, მას შემდეგ, რაც სამრეწველო სუბიექტი სახელმწიფო და კოლექტივი გახდა.

ადგილობრივი მრეწველობა კაპიტალისტურ მეურნეობამაც იცის, რასაკვირველია, იქ სხვა მიზნებს ემსახურება, მაგრამ რამდენათაც საზოგადოებრივ ან კომუნალურ დაწესებულების განმგებლობაში (ქალაქის საბჭო, ერობა), იმდენათ სამრეწველო დარგიც ერთგვარიანი კოლექტივის შემვსებ ელემენტათ გვევლინება. ასეთ სამრეწველო დარგებს კაპიტალისტურ ქვეყნებში უმეტეს შემთხვევაში მიეკუთვნება ისეთი სამეურნეო ერთეულები, რომელთა კერძო მწარმოებლის ხელში გადასვლა „კერძო ინიციატივისათვის“ ხელსაყრელი არ იქნება და ამასთან ერთად მოსალოდნელია გამოიწვიოს შეფერხება, მოხმარების დაკმაყოფილება. აქ ერთგვარ სოციალურ მოვლენასაც აქვს ადგილი. ასე მაგალითად, გაზისა და ელექტრონის ქარხნები, წყლის მიწოდება და სხვა. ყოველ ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ მიზნობრივ საქმიანობასთან, რომელიც ფაქტათ ხდება არა იმისთვის, რომ ის პრინციპიალურ მოთხოვნილებას წარმოადგენს კაპიტალისტურ მეურნეობისათვის, არამედ შეადგენს გადაუვალ აუცილებლობას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ კერძო კაპიტალი ასეთ წამოწყებაში ფართო მოგების ასპარეზს ვერ ნახულობს. ასეთ მდგომარეობაში მუნიციპალიტეტი იქნება ის, ქალაქის გამგეობა თუ სოფლურ მოსახლეობის საბჭო, მიუხედავად იმისა, რომ თავის უმრავლესობაში მსხვილ კერძო მესაკუთრებისაგან შესდგება, იძულებული ხდება უარყოს სამხთო მცნება კერძო საკუთრება და სამრეწველო დარგი კოლექტივს დაუმორჩილოს.

საბჭოთა სინამდვილეში, აშკარაა სხვაგვარ ფენომენთან გვაქვს საქმე. საწარმოო დარგი, როგორც ასეთი, აქაც მიზნობრივია, ის აქაც განსაზღვრულ მოთხოვნილებას ემსახურება, მაგრამ ეს არა ეკონომიური იძულების შედეგია, არამედ პრინციპიალური ორიენტაციის. ასეთი მრეწველობა წარმოადგენს ძირითად ელემენტს საერთო სამრეწველო მშენებლობისა, რომელიც აღმოცენებულია ადგილობრივ ორგანოების სამეურნეო უნარიანობაზე.

როგორც ზემოთ ვსთქვით, უმთავრესი ნიშანდობლივ თვისებას ასეთი მრეწველობისა შეადგენს ის, რომ საწარმოო შენდება ადგილობრივ კოლექტივის ინიციატივით, ეყრდნობა ადგილობრივ მოთხოვნილებას და ნედლეულს. აქ ცხადია, რომ მრეწველობის გეოგრაფიული განაწილება, ანუ როგორც მეცნიერულ ენაზე იტყვიან, ადგილმდებარეობა, სტანდარტი, ინდუსტრიისა ერთბაშათ ნედლეულის არსებობით იხაზება. აშკარაა, რომ იქ, სადაც ხე-ტყე არ მოიპოება, არავინ არ მოიფიქრებს, ხე-ტყის ქარხნის აშენებას, თუნდაც სამშენებლო მასალაზე დიდი მოთხოვნილებაც იყოს. ან და აგურხანას არავინ ააგებს, თუ ადგილობრივათ შესაფერი თიხა არ მოიპოება. რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ცხვდებით ამ მხრივ შეუსაბამობას, მაგრამ მთლიანათ აღებული მიმართულება და გეზი ადგილობრივი მრეწველობისა ადგილობრივათ არსებულ ნედლეულზეა მიჩემებული.

საქართველოში საანგარიშო წელში ადგილობრივი მრეწველობის 77 სხვადასხვა საწარმოო დარგი აღინიშნება. დარგების მიხედვით, ეს რაოდენობა შემდეგნაირათ ნაწილდება:

1) ხე-ტყის ქარხნები 17; 2) ხის გადამუშავება —3; 3) აგურხანები—17; 4) კირის ქარხნები—4; 5) ლითონის გადამუშავება, ელექტრო-ტიხნიკური დარგები— 5; 6) ტყავის 4, 7) სტამბები — 10; 8) თამბაქოს ქარხანა — 1; 9) სპირტის ქარხანა — 2; 10) ლუდის ქარხნები— 2; 11) საკონსერვო ქარხნები — 2; 12) ყველ-კარაქის ქარხნები—3; 13) საყინულის ქარხნები—3; 14) კრახმალის— 1; 15) საპნის — 1; 16) ხელოვნური მინერ. წყლების —1; და 17) თხილის დამრჩევი— 1; სულ 77 ქარხნ.

ამ რაოდენობიდან წლების მიხედვით, შექმნილია:

1921 წ. 20; 1922 წ.—3; 1923 წ. —1; 1924 წ. —5; 1925 წ.—4; 1926 წ.—26; და 1927 წ.—18 სულ 77.

ამ რიცხვებიდან ჩვენ ვხედავთ თუ როგორი ტემპით მიმდინარეობდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარება. 1921 წლიდან დაწყებული 1926 წლამდე თითქმის ვერავითარ ცვალებადობას ვერ ვხედავთ. წარმატების რაოდენობა არ აღემატება 5-ს. ხოლო 1926 წელი მარტო იძლევა 26, 1927 კი 18-ს. ეს უკვე იმის მომასწავებელია, რომ ორ უკანასკნელი წლის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობის განვითარება ბევრათ უფრო სწრაფი ნაბიჯით წასულა წინ. აქ შეიძლება გვიპასუხონ, რაოდენობას არა აქვს იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც წარმატებათა თვისებას და მიღწეულ ეფექტს. ეს მართალია, და ჩვენც შევეცდებით თანდათანობით აღვნიშნოთ და გავარკვიოთ ყველა მომენტები, რომლებიც დაკავშირებული არის ამ მთლიან საკითხთან.

თუ წლიურ წარმატებას დარგების მიხედვით გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ ორი უკანასკნელი წლის **განმავლობაში** უდიდეს ჯამს იძლევა საამშენებლო დარგი. აგურხანები და ხე-ტყის ქარხნები. ასე მაგალითად, 1926 წელში აშენებულა 10, 1927 წელში 6 აგურხანა, ამავე წლებში 2 და 6 ხე-ტყის ქარხანა.

ზერელე დაკვირვებიდანაც აშკარა გახდება, რომ ამ ორი დარგის ზრდა იმით არის გამოწვეული, რომ საამშენებლო საქმიანობას გამოცოცხლება დაეტყო, რის გამო საჭირო მასალებზე დიდი მოთხოვნილებაა, რის დაკმაყოფილება ავტომატიურათ ახალი დარგების შექმნას იწვევს. აქაც შესაძლებელია წამოიჭრას კითხვა იმის შესახებ, რომ, თუ ასეთი ჩქარი ზრდა საამშენებლო კონიუნქტურაზეა დამოკიდებული, მაშინ საწარმოები კონიუნქტურის შედეგათ უნდა ჩაითვალოს, რის დასრულებას შემდეგ შექმნილ სარეწავებიც დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ამ კითხვაში აუცილებლათ რეზონია. მაგრამ იმას გავარჩევთ შემდეგ სხვებთან ერთად.

**ი. ნარსია.**

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## წარსულის გამოცდილებიდან

**(პარიზის კომუნიდან 57 წლის შესრულების გამო)**

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების ერთ-ერთი პირობათაგანი ისიც იყო, რომ მისმა ხელმძღვანელებმა არ დაივიწყა წარსული რევოლიუციების გამოცდილებანი.

„სასარგებლოა, ამბობს ამხ. ლენინი — წარსული რევოლიუციების გამოცდილების გამოყენება და არა მასზე წერა“-ო. და სწორედ პარიზის კომუნის გამოცდილებიდან იქმნა მიღებული გაკვეთილები დიადი ოქტომბრის რევოლიუციის გასამარჯვებლად.

ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. პროლეტარული რევოლიუცია რევოლიუციონურ მარქსიზმის გზას გაჰყვა. ამ უკანასკნელმა კი პარიზის კომუნის გამოცდილებაზეააგო მუშათა კლასის შემდგომი სამოქმედო პროგრამა

რა საკითხები გადასჭრა მომავალ პროლეტარულ — რევოლიუციისათვის სახელმძღვანელოდ, პარიზის კომუნამ?

როგორც ვიცით, რევოლიუციაში გამარჯვებულ პროლეტარიატის მიზანია კაპიტალიზმის მოსპობა, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ როგორი **სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია** უნდა შექმნას მან, რომ ამ აღნიშნულ მიზანს მიაღწიოს?

აი საკითხი, რომელზედაც პარიზის კომუნის გამოცდილებით საბოლოო პასუხი გასცა ენგელსმა. ის ამბობს „სახელმწიფო სხვა არ არის რა, გარდა მხოლოდ ერთი კლასის მიერ დაჩაგვრა და დამორჩილება დანარჩენი კლასების. ეს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც არა ნაკლებ ეხება, ვიდრე მონარქიას, უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფო ბოროტებაა, რომელსაც პროლეტარიატი თავის კლასობრივ ბატონობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული მიიღებს, როგორც მემკვიდრეობას“.

მაშასადამე სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, როგორც ეს პარიზის კომუნას ჰქონდა, აუცილებელია გარდამავალ პერიოდში.

პარიზის კომუნა პროლეტარიატის დიქტატურა იყო და ენგელსის აზრით, სწორედ ასეთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია უნდა შექმნას გამარჯვებულმა პროლეტარიატმა.

რა შედეგებს მოგვცემს პარიზის კომუნის მაგვარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია?

ამის შესახებ მარქსი სწერდა: პარიზის კომუნა სანატრელი პოლიტიკური ფორმაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება“. „კომუნა რესპუბლიკის ისეთი ფორმა იყო, რომელიც არამც თუ კლასობრივ ბატონობის მარტო მონარქიულ ფორმას მოსპობდა, არამედ თვით კლასობრივ ბატონობასაც.

ასე ესმოდათ და აფასებდნენ მარქს-ენგელსი პარიზის კომუნის მნიშვნელობას და ეს ანსხვავებს მარქსიზმს ოპორტიუნისტულ მენშევიზმისაგან.

ამნაირად მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ და მისმა ხელმძღვანელმა ლენინიზმმა გაამართლა რევოლიუციონური მარქსიზმის მითითებანი, მხოლოდ ლენინიზმს შეუძლიან იამაყოს მარქსიზმის ღირსეულ მემკვიდრეობით, რადგან მხოლოდ მან წაიყვანა პროლეტარული რევოლიუცია იმ გზით, რომელზედაც მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ პარიზის კომუნის დროს მიუთითებდნენ.

მაგრამ მენშევიზმის დამარცხების, მისი მოღალატეობის საფუძვლებიც პარიზს კომუნის, რევოლიუციონურ მარქსიზმის მითითებების ღალატში უნდა ვეძიოთ.

მენშევიკური პარტიის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის უარყოფა, მის წინააღმდეგ ბრძოლა, მათი შემთანხმებლური პოლიტიკა იყო ანალოგია იმ მდგომარეობის, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზის კომუნის დროს.

პარიზის კომუნის წინააღმდეგაც ვერსალიდან იბრძოდენ სოციალისტები ლუი ბლანი და როლენი. ესენი იყვნენ შემთანხმებელი სოციალისტები, რომლებიც პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან ერთად ისხდენ მთავრობაში, აკეთებდენ ბურჟუაზიისა და რეაქციის საქმეს პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან ერთად, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ამრიგად ჯერ კიდევ პარიზის კომუნის დროს გამოირკვა, რომ შემთანხმებლობა უდიდესი ღალატია პროლეტარულ რევოლიუციისათვის. ამის გამო იყო რომ ენგელსი ეწინააღმდეგებოდა კოალიციონურ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობას და ამბობდა: ასეთ მთავრობაში სოციალისტები ბურჟუაზიის საქმეს გააკეთებენ და თუ მუშები არ დაკმაყოფილდებიან და დემოკრატიულ ბატონობის დანგრევას მოისურვებენ, დროებითი მთავრობა სოციალისტების მონაწილეობით და დახმარებით შეეცდებიან მათ ჩაჩუმებასო.

ეს ასეც ხდება დღეს ევროპის ქვეყნებში და ასე ხდებოდა რუსეთში დროებითი მთავრობის ბატონობის დროს.

ისინი, ბურჟუაზიამ ჩაითრია თავისი საკუთარი საქმის საკეთებლად, საბოლოოდ დაავიწყათ მარქსიზმი, დაივიწყეს ლუი ბლანის წარსული მაგალითი, დაივიწყეს ენგელსის გაფრთხილება და ამიომ მოექცნენ პროლეტარულ რევოლიუციის მტრების ბანაკში.

პარიზის კომუნამ ნათლად დასახა ორი გარემოება: პროლეტარიატის ისტორიულ მიზნებს გადასჭრის ის ვინც გაჰყვება პარიზის კომუნის გზას, ხოლო ვინც ლუი ბლანის დაგვარ შემთანხმებლობას აირჩევდა, ის პროლეტარულ რევოლიუციის მტერთა ბანაკში მოექცეოდა და მას გაანიავებდა პროლეტარული რევოლიუცია.

საქართველოს მენშევიზმიც ამ გზას გაჰყვა. მან ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად დაიწყო საქართველოში ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცება და ამიტომაც გახდენ საქართველოს ლუი ბლანები. მათი საქმიანობა არსებითად ეწინააღმდეგებოდა როგორც მუშათა კლასის, ისე მშრომელი გლეხობის ინტერესებს.

წარსულის გამოცდილებით იყო აუცილებელი ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება და მენშევიკურ პოლიტიკის დამარცხება.

ვასილ ფრანგიშვილი.

---

## უპარტიო ახალგაზრდობა

დიდმა ოქტომბერმა ახალი ისტორიის ფურცელი გადაშალა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიაში. მუშათა კლასმა საბოლოოდ განამტკიცა თავის ბატონობა და ამაშია მისი სიძლიერე. ამ დიად ბრძოლაში თავისი წვლილი ახალგაზრდობამაც შეიტანა, ამ მოვლენას ახალგაზრდობაც გამოეხმაურა.

ახალგაზრდობის აქტიური ნაწილი კომკავშირელებია, რომლებიც მტკიცეთ სდგანან რევოლიუციის საგუშაგოზე — ესენი პირველ ბანაკშია მოქცეული. მათ მოწინააღმდეგე ბანაკში კი ახალგაზრდა მარქსისტებია (რომელიც დღეს თითქმის დაშლილია) და ყველა ანტი - საბჭოთა ელემენტები — მესამე ჯგუფში კი ახალგაზრდობის უფრო პასიური ნაწილია, ეს ის ნაწილია, რომლებიც ყოველთვის პოლიტიკის გარეშე დგომას არჩევს და იცავს ნეიტრალურ ხაზს, რომელთა აზრით პოლიტიკა „წვრილმანი რამეა“ და ამისათვის პოლიტიკაში ჩათრევა იგივე დაწვრილმანებაა — მაგრამ ეს არ არის სწორი, რადგან პოლიტიკის გარეშე დგომა პოლიტიკურ სიკვდილს მოასწავებს.

უნდა ითქვას, რომ მშრომელ ახალგაზრდობას არ ეპატიება პოლიტიკის გარეშე დგომა. ისინი მუშათა კლასის დამცველ ორგანიზაციაში უნდა იყვნენ, ვინაიდან ყველას კარგად მოეხსენება, რომ საბჭოთა კავშირს დღეს უამრავი მტრები ყავს, როგორც შიგნით, ისე გარეთ, რომლებიც საბჭოთა კავშირის განადგურებას ცდილობს და ასეთ მომენტში შეიძლება ახალგაზრდობა პოლიტიკის გა-

რეში დადგეს? რასაკვირველია არა. ვინაიდან ოქტომბრის რევოლიუციის სასიცოცხლო ისტერესები ახალგაზრდობას უყენებს მოთხოვნილებას მტკიცეთ იდგეს მის სადარაჯოზე და თავისი აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს მისი გამარჯვების საქმეს.

ნოე რამიშვილი ვანო ქარცივაძესთან მიწერილ სადირექტივო წერილში სწერს: „აიყვანე აღრიცხვაზე ჩუმი აღწერის საშუალებით სანდო უპარტიოები“-ო. რამიშვილი უპარტიო მასას თავის ორგანიზაციის რეზერვად სთვლის და იმედი აქვს „ბრძოლის დროს გამოგვადგება“-ო.

ჩვენ ამ გარემოებას უნდა ვებრძოლოთ, უნდა ვეცადოთ უპარტიო მასსა ჩავაბათ კომკავშირის რიგებში, ავსწიოთ მათი პოლიტიკური მომზადების დონე.

ვინც არ იბრძვის, ის ყველაფერში პასივია, პასივია სულიერად, მორალურად და პოლიტიკურად.

მაშ ამხანაგებო, დავირაზმოთ კომკავშირის რიგებში იმ ორგანიზაციაში, სადაც ბრძოლის კოცონია დანთებული.

გიორგი ქარაბაკი.

# მელიორაცია საქარ ველოში

საქართველოს ეკონომიური განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული მის სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან და დასამუშავებელი მიწის ფონდის გადიდებასთან. ამისათვის სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციასთან ერთად მიწების მელიორაცია უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს ჩვენს სახალხო მეურნეობის ეკონომიკაში და შეადგენს მის ერთ ძირითად ლოზუნგს, რომელსაც ჩვენ 1921 წლიდან ვანხორციელებთ.

1921 წლამდე საქართველოში ითვლებოდა 173 ადგილობრივი პრიმიტიული არხების სისტემა და 7 საინჟენერო სისტემა, რომლების საშუალებით ირწყვებოდა სულ 155 ათასი დეს. მიწა. საინჟენერო სისტემებში მთავარ სისტემათ ითვლებოდა ყარაიაზის —თბილისის მაზრაში, რომელიც მტკვრიდან ღებულობს წყალს; გიაურ-არხი—ბორჩალოს მაზრაში მდ. ხრამიდან და აჯამეთის არხი—ქუთაისის მაზრაში მდ. ყვირილიდან. საინჟენერო სისტემებით ირწყვებოდა სულ 25 ათასი დესეტინამდე, დანარჩენი 130 ათასი დეს. ირწყვებოდა ადგილობრივი პრიმიტიულ არხების სისტემით, რომლის კონსტრუქცია სრულიად ვერ აკმაყოფილებს ტეხნიკურ მოთხოვნილებას და ამიტომ მათში წყალი არა რაციონალურათ იხარჯება. ხშირად ფუჭდება, მორწყვის შემდეგ წყალი გუბდება ხნარცვებში და აჭაობებს მახლობელ მიდამოებს. ასეთი პრიმიტიული არხებით 130 ათასი დესეტინა ირწყვება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, თითქმის ყველა მის მაზრებში, მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებულია ამ სისტემით მიწების რწყვა გორის, ბორჩალოს და ახალციხის მაზრებში,რადგანაც მტკვრის და ალაზნის გამოყენება ამ მდინარეების დაბალი კალაპოტის გამო შეუძლებელია, რთული ხელოვნური ნაგებობის გარეშე. ადგილობრივ მოს ახლეობას არხები გაყავდა და გაყავს ამ მთავარი მდინარეების შენაკადებიდან, მთის ნაკადებიდან და წყაროებიდანაც და რწყავენ თითო-ოროლა სოფლებს ცალ-ცალკე. ასეთი სისტემით მიწების მორწყვის დროს წყალი დაუზოგველათ იხარჯება, რაც იწვევს წყლის მოსარგებლეთა შორის დაუსრულებელ დავას. ამისათვის მთელი ამ პრიმიტიული სისტემების რეკონსტრუქცია აუცილებელი საჭირო ხდება ამჟამად.

ასე იყო საქმე 1921 წლამდე. ამ წლიდან კი შემდეგი სარწყავი სისტემები იქნა მოწყობილი საქართველოში, რომლებიც საერთოდ რწყავენ 68 ათას დეს. მიწას; ისინი შემდეგნაირათ არიან განაწილებული:

**1. დასავლეთ საქართველოში:**

1. მაშველი—12.000 დეს., 2, საბჭოთა არხი —9.000 დეს., 3. კულაშ-ლანირის —3.000 დეს, 4. ხონი-სამტრედიის— 3.500 დეს., 5. ხოხოულის ჭალები —2500 დეს., 6. დიმი-როკითის — 2000 დეს. სულ 32.000 დეს.

**2. აღმოს. საქართველოში**

1. დოეს-გრაკალის —2.000 დეს., 2. სკრა-ქარელის—3.000 დეს., 3. ლამი-მისაქციელის—1.500 დეს., 4. როზენფელდის— 500 დეს., 5. მაჯადიის (ახალქალ მ.)—500 დეს., 6. ტირიფონის არხი —15.000 დეს., 7. ალაზნის არხის ნაწილი —12.000 დეს., 8. დილომის—1.500 დეს., სულ 36.000 დეს.

სულ საქართველოში 1921 წლიდან დღევანდლამდის ახალი სისტემით მოირწყვება 68 ათასი დეს.

15 წლიდან გეგმაში შეტანილია და უნდა იქნეს გაყვანილი შემდეგი არხები, რომლების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია.

**1. დასავლ. საქართევლოში**

1. ვანი-ტობანიერის— 9.000 დეს., 2. ნაგომარის—5.000 დეს., 3. სამურზაყანოს —1000 დეს., სულ 15.000 **დეს.**

**2. აღმოს. საქართ.**

1. სამგორის არხი— 65.000 დეს., 2. დოლლაურის—20.000 დეს., 3. ალაზნის არხის მეორე ნაწილი—40.000 დეს., 4. სოღანლუღის ველი—15.000 დეს., 5. ელდარი —20.000 დეს., 6 აშურიანის —3.000 დეს., 7. ყარაიაზის —5.000 დეს., 8. თოფარავანის —15.000 დეს., 9. ქვაბლიანის —5.000 დეს., სულ 188.000 დეს.

სულ საქართველოში 15 წლის განმავლობაში უნდა მოირწყოს დაახლოვებით 203 ათასი დეს. მიწა, მაშინ ახლათ გაყვანილ სისტემასთან ერთად მორწყული იქნება 271 ათასამდე დეს. თუ ამას კიდევ მოვუმატებთ ძველი სისტემებით მორწყულს 155 ათასს დეს., მაშინ გვექნება 426 ათასი დეს. მორწყული მიწა.

მთელი სახნავი მიწების არე საქართველოში ავტონომ. რესპუბლიკების გამოკლებით უდრის: 1. **დასავლეთ საქ.**—220.521 დეს., 2. **აღმოს. საქ.—354.930 დეს., სულ 575.450 დეს.**

ამნაირათ მოურწყავი რჩება კიდევ 149 ათასი დეს., მაგრამ ეს არე ზოგან მორწყვას არ საჭიროებს და ზოგან მორწყვა შეუძლებელი იქნება თვითდენის არხებით და საჭირო იქნება აქაჩული წყლით მორწყვა. ამას კიდევ უნდა დავუმატოთ ჩვენში ჭაობების დაშრობა და იქიდან მიწის ფონდის გადიდება. ბუნებრივი ჭაობები განსაკუთრებით განვითარებულია დასავლეთ საქართველოში, ზღვის პირათ ახლო მდებარე ალაგებში, ეგრედწოდებულ კოლხიდის დაბლობებში. ამ ჭაობების მთელი არე დაახლოებით უდრის: აფხაზეთში —18.000 დეს., აჭარაში —12.000 დ., ფოთის —70.000 დეს., სულ 100.000 დეს.

ამ ჭაობების დაშრობას არა მარტო სასოფლო მეურნეობისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა, არამედ მთელი მხარის გაჯანსაღებისათვის, რადგანაც ეს მხარე ყველაზე უფრო დაავადებულია ჩვენში ტროპიკული მალიარიით; მაგალითად ქობულეთის ჭაობების დაშრობა ერთის მხრით სასოფლო მეურნეობას შემატებს რამდენიმე ათასს დეს. კულტურულ მიწას და მეორეს მხრით მოსპობს მალიარიის ბუდეს და გახდის ქობულეთს ერთ საუკეთესო კურორტათ მთელი შავი ზღვის პირათ. 15 წლის შემდეგ ჩვენ თუ 426 ათასს დეს. მორწყულ მიწას მივუმატებთ 100 ათასს დაშრობილ მიწას, ამით ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება, რადგანაც ნახევარ მილიონზე მეტი დეს. მორწყული არე ყოველნაირი მაღალი კულტურისათვის გამოსადეგი იქნება.

1921 წლიდან სამელიორაციო სამუშაოებზე დახარჯულია სულ ჩვენში შემდეგი თანხა: 1922—23 წ.—30.728 მან., 23—24 —322.217 მან., 24—25—655.553 მ., 25—26 —1.439.744 მან., 26—27—3.002.388 მან., სულ 5.450.630 მან.

თუ ერთი დესიატინის მორწყვას საშუალოდ ვიანგარიშებთ 120 მ., როგორც ეს ხშირათ ჯდება ჩვენში და ჭაობების დაშრობას 200 მან., მაშინ ჩვენი სამელიორაციო ხარჯი 15 წლიანი გეგმით იქნება 45.000.000 მანეთი. აქედან: 1. მოსარწყავათ —25 მილიონი, 2. დასაშრობათ— 20 მილიონი, რაც იწვევს 3 მილიონი მანეთის ყოველ წლიერ ხარჯს სამელიორაციო სამუშავოებისათვის.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჰავის და ნიადაგის განსხვავება დასავლ. და აღმოსავლ. საქართველოში და აგრეთვე ატმოსფერიული ნალექების სხვადასხვაობა დიდ გავლენას ახდენენ სამელიორაციო სამუშაოების ხასიათზე ამ ორ ნაწილში.

ატმოსფ. ნალექების განაწილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემდეგნაირათ ხდება მთელი წლის განმავლობაში.

**1 დასავ. საქართველოში:**

ქუთაისში ის აღწევს საშუალოდ — 1374 მ. მ.; ფოთში — 1626 მ. მ.; ოზურგეთში — 2048 მ. მ.; ზუგდიდში —1557 მ. მ.; ჩაქვაში — 2618 მ. მ.; ბათომში — 2500 მ. მ.; ქობულეთში — 2281 მ. მ.; ქ. სოხუმში — 1921 მ. მ.'

**2. აღმოსავლ საქარ.** თბილისში აღწევს საშუალოთ — 497 მ. მ.; გორში 495 მ. მ.; ბორჯომში — 572 მ. მ.; სიღნაღში — 589 მ. მ.; დუშეთში — 614 მ. მ.; ახალციხეში—630 მ. მ..

აქედან აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს ნესტიანი ჰავა არ თხოულობს ხშირ მორწყვას და აქ მორწყვის საკითხი ისე მწვავედ არ დგას, როგორც აღმოს. საქართველოში, სადაც, ჰავის კონტინენტალური ხასიათის გამო, მიწების მორწყვა შეადგენს სასოფლო მეურნეობის საფუძველს, რადგანაც უამისოდ ყოველნაირი კულტურა აქ შეუძლებელია. დასავლ. საქართველოში ირწყვის მხოლოდ ქუთ. მაზრის ერთი ნაწილი სახელდობრ რიონის შუანაწილის დაბლობები ა. გ. წოდ. ვაკე იმერეთი მდ. ყვირილის შესართავიდან მდ. ცხენის წყლის შესართავამდე. მთელი ძველი და ახალი არხების ქსელი ამ რაიონშია თავმოყრილი და რწყავს დაახლოებით 32 ათასს დეს. მიწას, ამ ნაწილის დანარჩენი დაბლობები მორწყვის მაგიერ დაშრობას თხოულობს. მაღლობები კი მორწყვას არ საჭიროებს.

გარდა ამისა 15 წლის გეგმაში გათვალისწინებულია დასავ. საქართველოში მხოლოდ სამი არხის გაყვანა საერთოთ 15 ათასი დესეტინის მოსარწყავად. მაშინ როცა აღმოს. საქართველოში 15 წლიანი გეგმით გათვალისწინებული 9 არხის გაყვანა 190 ათასი დესეტინის მოსარწყავათ და ამასთან ერთად აქვე უნდა იქნეს გადაკეთებული, როგორც ზევით ვსთქვით, ძველი პრიმიტიული არხების სისტემა, რომელიც რწყავს 130 ათასს დეს. მიწას. ასე რომ საირრიგაციო სამუშაოების მთელი სიმძიმის ცენტრი უნდა იქნეს გადატანილი აღმოს. საქართველოში. სამაგიეროდ დას. საქ. ჭაობების დაშრობა დიდ მუშაობას მოითხოვს. აქედან ცხადია, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება ჩვენში და მისი ინტენსიფიკაცია მთლიანად დამოკიდებულია ამ დიდი სამელიორაციო სამუშაოების შესრულებაზე. ამასთან ერთათ უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავ არხებზე ჩვენში ძალიან ხშირათ ხელოვნური ჩანჩქერები და წყალვარდნილები ჩნდება, რაც საშუალებას იძლევა იაფი ჰიდრო-ელსადგურების აშენებისას.

რამდენათაც მეტია სარწყავი არხების წყლის ხარჯვა და მათზე გაჩენილი ჩანჩქერების დაქანება, იმდენათ მეტი სიმძლავრის ჰიდროსადგურების აშენება შეიძლება: თითქმის ყველა ახლათ აშენებულ არხებზე ჩვენში შესაძლებელი ხდება პატარა ან დიდი სიმძლავრის სადგურების აშენება, მაგალითად ალაზნის არხზე განზრახულია 6 ათასი ცხენის ძალის სადგური. სამგორის მომავალ არხზე — 20 ათასი ცხ. ძ.; ტირიფონის არხზედ 4 ათასი და სხვ... ასე რომ სარწყავი არხების გაყვანას ჩვენში არა მარტო სამელიორაციო დანიშნულება აქვს, არამედ ის ხდება ჰიდროელექტროფიკაციის ფაქტორათაც. მეორეს მხრით იაფი ელექტროენერგიის საშუალებით შესაძლებელი გახდება ადვილათ და იაფათ მაღლობებზედ აქაჩული წყლით მიწების მორწყვა და დაბლობებში ჭაობების ამოშრობა, და მასთან მთელი სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციაც. 15 წლიანი გეგმით ჩვენში გათვალისწინებულია სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის ელექტროფიკაციის მიზნით **ნახევარი მილიონი** ცხ. ძალის ელსადგურების აშენება, რომლებიც შემდეგნაირათ იქნება განაწილებული:

**აღმოს. საქართველოში:** 1. თოფორავანის 110,000 ც ძ., 2. ალაზნის არხის 6.000 ც. ძ. 3. სამგორის არხის 20.000 ც. ძ., 4. ტირიფონის 4.000 ც. ძ., სულ 140.000 ც. ძ:

**დასავლ. საქარ.** 1. რიონ-ქუთაისი 60.000 ც. ძ., 2. რიონ-მექვენა 118.000, 3. რიცეულა 32.000, 4. ინგურის 100.000, სულ: 310.000 ც. ძ.

სულ საქართველოში იქნება 450 ათასი ცხ. ძ. და ამჟამად არსებულ ჰიდროსადგურებთან ერთათ იქნება ნახევარ მილიონზედ მეტი ცხ. ძ. პირველ ხანებში ყოველი ცხ. ძალა ელ. სადგურის, როგორც მაგალითად ზემოავჭალაზე ძვირათ დაგვიჯდა 1000 მანეთიდან 700 მანეთამდე, მაგრამ დღეს, როცა საამშენებლო მასალების დამზადება ადგილობრივათ ეწყობა და გიდროსადგურების აშენებაშიც მეტი გამოცდილება არის მიღებული, ყოველი ცხენის ძალა დაგვიჯდება არაუმეტეს 300 მანეთისა.

თუ ამ ვარაუდს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 15 წლიან გეგმით გათვალისწინებული ნახევარ მილიონიანი ცხ. ძ. ელსადგურების აშენება დაგვიჯდება 150 მილიონი მანეთი. მაშასადამე წელიწადში უნდა ვხარჯოთ 10 მილიონი ელექტროფიკაციაზე და 3 მილიონი მელიორაციაზე, როგორც ზევით ვსთქვით, რომ 15 წლის ბოლოს სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარების ძლიერი ბაზა შევქმნათ.

**ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი.**

**როდიონ ქორქია.**

# ამომწვარი ნიშანი

I.

მსოფლიო ომი მძვინვარებდა.

ვარდის ფურცლები დასჭკნა და ძაღლ-ყურძენა ხარობდა

მოკვდა სიხარული და სევდა დაეუფლა დედამიწას.

უწინ, ყოველ შემოდგომას, დამათრობელი წვენით სავსე ვენახი მოუთმენლად ელოდა ნადს; ახლა კი, ამ შემოდგომას, არ მოდიოდა ნადი და ლოდინში ხმებოდა ვენახი.

უწინ, ყოველ შემოდგომას, აბრეშუმის შრიალით სავსე ყანა სიმღერასა და ნამგალს უცდიდა; ახლა კი, ამ შემოდგომას, ატირდა სიმღერა და დაჩლუნგდა ნამგალი.

უწინ, ყოველ შემოდგომას, გასათხოვარი ქალები მიმოზასავით თრთოდნენ ღელავდნენ, იკუმშებოდნენ მოლოდინში, მარაოსავით იშლებოდნენ სიყვარულისაგან და ელოდნენ ვნებით სავსე სარეცელს; ახლა კი, ამ შემოდგომას, გახუნდა მიმოზა, მოკვდა მოლოდინი, ატირდა სიყვარული, გაცივდნენ ქალწულთა გულები და არავინ შლიდა სარეცელსა.

უწინ, ყოველ შემოდგომას, იცინოდნენ დედები, ელოდნენ რძლებსა, ამზადებდენ არტახებსა და აკვნებსა; ახლა კი, ამ შემოდგომას, ატირდნენ დედები, არ ირწეოდნენ აკვნები და არავინ არ ამზადებდა არტახებსა

ჰო, მძვინვარებდა მსოფლიო ომი.

ომის დაწყებისას არტემა მომქმედ ჯარში გაიწვიეს. ჯერ სამაზრო ქალაქში წაიყვანეს, შემდეგ რუსეთს გაგ-

ზავნეს. არტემას პოლკი იდგა დიდ ქალაქში. კვირაში ერთხელ არტემას შვებულებას აძლევდნენ.

პირველ ხანებში არტემა არსად დადიოდა. არავის იცნობდა დიდ ქალაქში, არავინ ჰყავდა ნაცნობი და მეგობარი, ვისთან წასულიყო? შემდეგ მოსწყინდა მარტოობა გრძელსა და რუხს ყაზარმაში, მობეზრდა მუდმივი ერთფეროვნობა და ერთხელ, შაბათს, წავიდა შვებულებაში. წავიდა და გაყვა ამხანაგებს, რომელთაც ჰყავდით ნაცნობები.

არტემას ამას წინად ათი მანეთი გამოუგზავნეს სოფლიდან. არტემამ ათ მანეთიანი დაახურდავა, ხუთ მანეთიანი გუნდის უფროსს მიაბარა, და დანარჩენი ხუთი მანეთი ჯიბეში ჩაიდო. იმ დროს ჯარისკაცისათვის ხუთი მანეთი დიდი ფული იყო და არტემაც მაგრად მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში.

არტემას ასეთი დიდი ქალაქი და ამოდენა მილეთის ხალხი არასოდეს ენახა. ელექტროს ნათურებით სავსე იყო ქუჩები, მიჰქროდნენ ტრამვაის რონოდები, იცინოდნენ ქალები, სადღაც მიეჩქარებოდნენ ვაჟები და ყურს აყრუებდა პატარა ბიჭების კივილი:

— გაზეთი... გაზეთი.... გერმანელთა დამარცხება.

მიდის არტემა და უკვირს: ქალაქის სიდიდე, ტრამვაის სირბილი, ელექტროს შუქი და ქალების სილამაზე.

რა ლამაზი ქალები ყოფილა რუსეთში! მაღალი, თეთრი, ცისფერი თვალებიანი, ქერა თმიანი, სქელი კუნთებიანი და პატარა ფეხებიანი. არტემამ ისიც შენიშნა, რომ რუს ქალებს ტუჩები ჰქონდათ სქელი, ღიმილით სავსე, კეთილი და სანდომიანი.

მიდის არტემა და აკვირდება ქალებს. არტემას ამხანაგები ზოგ ქალს კრძალვით ჩაუვლიან გვერდით, ზოგს კი გაეხმაურებიან, ზოგსა კიდევ რაცხას ეტყვიან.

ერთი ქუჩის მოსახვევში, იქ, სადაც ცოტა ბნელოდა, ბევრი ქალი იყო. ეს ქალები უფრო სადათ იყვნენ ჩაცმულნი, ყველა მზეს-უმზირას ამსხვრევდა და გამვლელ ვაჟებს ოხუნჯობით მიმართავდნენ.

არტემას ამხანაგები ჩაერივნენ ამ ქალებს.

— ჯარის კაცო, დაგვპატიჟე!

— ჯარისკაცო, გვიყიდე მზეს-უმზირე!

არტემას ამხანაგებმა იპოვეს ნაცნობი ქალები. არტემასაც გააცნეს ერთი ქალი, პაშა.

პაშა იყო თოვლივით თეთრი, მაღალი, ცისფერი თვალებით, ქერა თმებით, ცხვირლილა, სავსე სქელი ტუჩებით, ჰქონდა სქელი გავა და ლამაზი ფეხები.

არტემას მაშინვე მოეწონა პაშა და მზეს-უმზირე უყიდა. შემდეგ ყველანი წავიდნენ სადღაც შორს. მიდიოდნენ ბევრ ხანს, გრძელი, ფართო, ხალხით სავსე ქუჩებით. შემდეგ ქუჩები დავიწროვდნენ, ხალხი შეთხელდა და ელექტროს ნათურები არ ანათებდნენ ისე უხვად. ჯგუფი შეჩერდა ერთ პატარა ბაღში. ყველანი ჩამოსხდნენ სკამებზე და დაიწყეს ოხუნჯობა, სიცილი, სიმღერა. არტემას ამხანაგები ქალებს მოურიდებლად ეხუტებოდნენ.

არტემას გაუგონია საქართველოში, რომ რუსი ქალის სიყვარული იაფია, რომ რუს ქალმა არ იცის შერჩევა ყველასთან თანახმაა გაიყოს საწოლი და ამიტომ არტემამ პაშას წელზე ხელი მოხვია.

— ასე არ ჰქნა, თორემ დაგემდურები.—უთხრა პაშამ.

გაუკვირდა არტემას და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სცადა.

—მე შენ პირველად გხედავ. არ გიცნობ. ეგ არ შეიძლება. სიმღერა და ოხუნჯობა სხვაა, სიყვარული სხვაა, —გაუმეორა პაშამ.—თუ მომეწონე მე თვითონ გაკოცებ

გაუკვირდა არტემას; მაგრამ მოეწონა ნათქვამი. შემდეგ სიმღერა დაიწყო, ქართული სიმღერა.

პაშას მოეწონა სიმღერა, რამოდენიმეჯერ გაამეორებინა და, ბოლოს, როდესაც არტემა და მისი ამხანაგები უნდა წასულიყვნენ, პაშამ არტემას კისერზე ხელი მოხვია და აკოცა. ერთხელ. მხოლოდ ერთხელ აკოცა.

## II.

ყოველ შაბათს არტემა და პაშა ხვდებოდნენ ერთმანეთს იმ ბაღში და დასხდებოდნენ სადმე ბნელ კუნჭულში.

რას ან რაზე ლაპარაკობდნენ? ვინ იცის! სიტყვები თავის თავად მოდიოდნენ, ტუჩები თავისთავად ფურცლავდნენ ალერსის მარგალიტ სიტყვებსა, და თვალები ისეთი თაიგულად იშლებოდნენ, რომ იმ თაიგულის დამათრობელი სუნი ბერავდა ნერვებსა და ზღვის ტალღებივით ათამაშებდა მკერდებსა.

შემდეგ, მრავალ წელთა განმავლობაში, არტემას იმ ლაპარაკიდან ის ღა ახსოვდა, რომ პაშა იყო მოსამსახურე, თვეში ჰქონდა ათი მანეთი ჯამაგირი, სოფელში ჰყავდა მოხუცი დედმამა, იყო თვრამეტის წლისა, არავინ არ ყვარებია და პირველი ვაჟი, რომელიც შეუყვარდა, იყო არტემა.

— მერე, დედ-მამამ რომ გაიგოს?—შეეკითხა არტემა. ქალს გაუკვირდა და სიცილით უპასუხა:

— დედ-მამა რა შუაშია? მე მიყვარხარ და არა იმათ.

და ქალმა არტემა კალთაში ჩაიწვინა.

შემდეგ, როცა არტემას პოლკი პოზიციაზე მიდიოდა, პაშა ტიროდა, ტკბილეულობა მოუტანა არტემას, ხუთი მანეთი მისცა და უთხრა:

— არტემ, ჩემო კარგო, არ დამივიწყო!

— არ დაგივიწყებ.

— მე ჩქარა შენი ბავში მეყოლება. თუ ვაჟი მეყოლა, არტემას ვუწოდებ, — ეუბნება პაშა.

არტემას გულის დამალულ კუნჭულში რაღაცა შეინძრა, უცნაურად ათრთოლდნენ არტემას ხელები და შეეკრა სუნთქვა.

— პაშა, — უთხრა არტემამ ბოლოს, —თუ ვაჟი გეყოლა, იცი რა?

— რა?

— აი რა. მკერდზე ნიშანი ამოუწვი. ჩვენ ეგებ ვერ შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ ჩემი ნიშანი ჰქონდეს ჩემს შვილს აი, ასეთი ნიშანი გაუკეთე:

და ჩემ ქაღალდზე დახაზა ქართული ასო „ა“.

— ეს ჩემი სახელის დასაწყისია,—აუხსნა არტემამ.

— ჩასხედით რონოდებში! — გაისმა ბრძანება.

პაშა გადეხვია არტემას, მაგრად ჩაიკრა გულში, გადაკოცნა.

და მანამ, სანამ რონოდა მიიმალებოდა, პაშა იდგა ბაქანზე, უყურებდა არტემას და უქნევდა ცხვირსახოცს.

ფრონტზე არტემას რამოდენიმე წერილი მოუვიდა პაშასაგან. უკანასკნელ წერილში პაშა სწერდა, რომ მას ეყოლა ვაჟი, ლამაზი, პატარა არტემა. შემდეგ არტემას პაშასაგან წერილი არ მიუღია.

ერთხელ არტემა ერთ დიდ ბრძოლაში დასჭრეს და ჰსენონში დააწვინეს. შემდეგ გერმანელებმა ის ქალაქი აიღეს, სადაც არტემა იწვა. პაშასთან წერილის გაგზავნა არ შეიძლებოდა.

ასე გასწყდა კავშირი მათ შორის.

მიდიოდნენ თვეები, წლები. გრძელდებოდა ომი. არტემა მომჯობინდა, ჭრილობა გაუმრთელდა, წაიყვანეს გერმანეთში და დააწყებინეს მუშაობა სადღაც ქარხანაში.

კიდევ გავიდა დრო-ხანი. გერმანეთში იქუხა რევოლიუციამ და შესწყდა ომიც. არტემა ჩასვეს ერთ დიდ უზარმაზარ გემში და გაისტუმრეს სამშობლოსაკენ.

საქართველოში დაბრუნებისას არტემა დაუბრუნდა ყანას, დაიწყო ძველებურად მუშაობა. ხშირად, ძალიან ხშირად არტემას დაესიზმრებოდა პაშა და პატარა არტემა, სადღაც უნდოდა წასვლა, გული არ აძლევდა მოსვენებას, ბორგავდა სულით, მაგრამ... დაკეტილი იყო ფოილოს ხიდი და რუსეთიდანაც უცნაური, საშიში ხმები მოდიოდა.

ხშირად, ძალიან ხშირად, არტემას დაესიზმრებოდა რუსეთი, დიდი ქალაქი, სასაფლაო. სასაფლაოზე მივიწყებული საფლავი. იმ საფლავზე ხის ჯვარი წაქცეული. ყველა საფლავზე ყვავილებია, იმ საფლავზე კი არავის არ

მოაქვს ყვავილი. და უნდა არტემას მიიტანოს ყვავილი, გაალამაზოს იგი საფლავი, აი, კიდეც დაკრიფა თაიგული არტემამ,მიდის რუსეთს, მივიწყებულ და ძვირფას საფლავთან, მაგრამ გზად მიადგება ხიდს, ხიდი კი დაკეტილია, ფოილოს ხიდი. არტემა მიიწევს წინ, უნდა გაიაროს იგი ხიდი, მაგრამ ამ დროს ვიღაცა სტაცებს ხელს და არტემას გამოეღვიძება.

დროთა სრბოლამ დაჩრდილა პაშა და ისიც. ვინც რუსეთის ცის ქვეშ არტემას სახელს ატარებდა და, როგორც ოდესღაც სწერდა პაშა. ჰგავდა არტემას, ძალიან ჰგავდა.

და ერთხელ საქართველოში ისევ გაისმა პაშას ძმათა ხმები, მხოლოდ ახლა ეს ხმები სულ სხვა სიმღერას არხევდნენ:

Смело мы в бой пойдем
за власть совет...

არტემა ამ დროს მილიციაში მსახურობდა. სახელმწიფო ბეჭედ დასმული წერილიც კი გაუგზავნა პაშას ძველი მისამართით, მაგრამ პასუხი არ მოუვიდა. ალბად. დაკარგულა პაშა. ალბად, პატარა არტემაც დაიკარგებოდა. ასე გავიდა ორი-სამი წელი და არტემამ შეირთო ცოლი.

### III.

ერთ დღეს, როცა არტემა საგუშაგოზე იდგა, ქუჩაზე რაღაცა ხმაურობა ატყდა. ხალხი შეჯგუფდა, ისმოდა ყვირილი, ჩხივილი და ბავშის ხმა:

— გამიშვით რა გინდათ ჩემგან!

— მილიციონერ!—ისმოდა ძახილი.

არტემა მივარდა შეჯგუფებულ ხალხს. გაარღვია ჯგუფი და შევარდა შიგ.

— რა ამბავია! რაშია საქმე?

— აი, ამხანაგო!—მიუბრუნდა არტემას ერთი მოქალაქე.—ამ ქუჩის ბავშმა ჯიბიდან საფულე ამომაცალა. გთხოვთ დაატუსაღოთ და წაიყვანოთ კომისარიატში.

და მოქალაქემ გადასცა არტემას ათი წლის ბავში, ძონძებში გახვეული და პირის სახეზე გამურული. ბავში არც ერთ შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა.

არტემამ მოკიდა ბავშს ხელი:

— წამოდი კომისარიატში!

ბავში გაძალიანდა, შემდეგ დაემორჩილა ძალასა და გაყვა.

გზაზედ არტემა დააკვირდა ბავშსა. სახე ისე ჰქონდა გამურული, რომ არაფერი უჩანდა, მხოლოდ შავი თვალები ელავდნენ ბრაზითა და შურითა.

— შენი გვარი?—ჰკითხა არტემამ ბავშს.

— რა შენი საქმეა.—გესლით მიუგო ბავშვმა.

არტემამ ჰკრა მუჯლუგუნი და შეუყვირა:

— სახელი?

— არტემა,—ტირილით უპასუხა ბავშმა და გვერდის ფხანა დაიწყო.

ფხანის დროს ბავშს გვერდი გაუტიტვლდა და არტემა მილიციონერმა დაინახა მკერდზე ამომწვარი ნიშანი. ქართული ასო „ა".

დააკვირდა არტემა. ამ რუსის ბავშს რუსულ სახეზე შავი თვალები ჰქონდა. ასეთი თვალები არასოდეს უნახავს არტემას რუსულ ცხვირღილა და თეთრ სახეზე.

უცნაურია. რათ აგონდება არტემას შორეული რუსეთი. პირქუში ყაზარმები, მაღალი, ცხვირღილა და ცისფერ თვალებიანი ქალი? რათ აგონდება არტემას სქელი ტუჩები, სამხედრო რონოდები, ქალის უკანასკნელი სიტყვა „არ დამივიწყო", ქაღალდის ნახევზე ამოხაზული ქართული ასო „ა" და ფოილოს ხიდი, ერთ უბედურ დღეს მოუფიქრებლად დაკეტილი?

და უყურებს არტემა მილიციონერი ბავშის გვერდსა: ნამდვილი ქართული ასოა ამოხაზული, ასო „ა". მხოლოდ ბრმა ვერ შენიშნავს ამას.

არტემამ ხელი უშვა ბავშსა და შეჩერდა. ჩააცქერდა თვალებში და ხელი მოუსვა მკერდზე იქ, სადაც იყო ამომწვარი ნიშანი.

— რომელი ქალაქიდან ხარ? — შეკითხა არტემა ბავშსა.

— კიევიდან.

— გყავს დედ-მამა?

— ობოლი ვარ.

კიდევ წარმოუდგა თვალწინ არტემას: შორს რუსეთში სადღაც სასაფლაოზე მივიწყებული სამარე. არტემას უნდა ქართული ვარდების თაიგული მიიტანოს იმ სამარეზე, მაგრამ დაკეტილია ფოილოს ხიდი და უვარდოთ სწორდება მიწასთან დავიწყებული სამარე.

ეჰ! ვინ დაკეტა ფოილოს ხიდი? წავიდოდა არტემა, მიიტანდა თაიგულს იმ სამარეზე.

— დედა შენს რა ერქვა?—ჰკითხა არტემამ ბავშს და იგრძნო, უმძიმდებოდა თავი, ბაგა-ბუგი გაჰქონდა გულსა.

— პაშა.—ამოიკვნესა ბავშმა და ორმა თეთრმა ცრემლმა, შავი თვალებიდან მოწყვეტილმა, გამურულ ლოყებს გაავლეს კვალი.

— შვილო! შეუყვირა არტემამ და ამომწვარი ნიშანი ჩაიკრა მკერდში.

ჰო, პაშასა და არტემას სიყვარული არასოდეს არ მომკვდარა. ფოილოს ხიდიც აწი არასოდეს არ დაიკეტება...

# სახელმწიფო ოპერა

საოპერო ხელოვნება დღემდე კონსერვატიული დარჩა. დღესაც ოპერა ძველი ფორმების გზით მიდის. თუმცა საბჭოთა რუსეთში არის ცდები ახალი საოპერო ხელოვნების შექმნისა, მაგრამ ახალ კომპოზიტორების: პროკოფიევის, პაშჩენკოს ახალი ოპერები იმდენად ძლიერ მუსიკალურ გამოხატულებას ვერ იძლევიან, როგორც ძველი ოსტატები: ვაგნერი, ვერდი, ჩაიკოვსკი, რიმსკი-კორსაკოვი და სხვა. ეს რასაკვირველია იმით უნდა ავხსნათ რომ საერთოდ ოპერის დაწერა თავისი რთული ფორმებით დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ჩვენი სახელმწიფო ოპერაც თავის სეზონების განმავლობაში, წლითი - წლობამდე ერთ დაიგივე ძველ ოპერებს სდგამს, ერთად-ერთი სიახლე, რომელიც კი შეაქვს სახელმწიფო ოპერას — ეს არის ქართული ოპერები, რომელიც გაიზარდა და განვითარდა მხოლოდ ჩვენ დიდებულ რევოლიუციის კალთების ქვეშ. სულ მცირე ხნის განმავლობაში დაიდგა ისეთი ოპერები, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი", „თქმულება შოთა რუსთაველზე", „თამარ ცბიერი", „დაისი" და სხვ.

წელს სეზონის პირველ ნახევარში სახელმწიფო ოპერამ გვიჩვენა კიდევ ახალი ორგინალური ოპერა „სიცოცხლე სიხარულია" დ. არაყიშვილისა, რომელიც სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრად ჩამოუვარდება ზემოხსენებულ ოპერებს და სუსტი მუსიკალური ნაწარმოებია, როგორც თავისი ტეხნიკით ისე შინაარსით. ერთად-ერთი დადებითი მხარე ამ ოპერისა, იყო იმაში, რომ ოპერა საუცხოვოთ არის დადგმული და მისი ჩვენება შეიძლება დილის წარმოდგენებზე — ბავშვებისათვის. ისე კი ეროვნულ მუსიკალურ ხელოვნებას დ. არაყიშვილის ახალი ოპერა არაფერს მატებს.

შემდეგ ახალ დადგმებიდან აღსანიშნავია პაშჩენკოს ახალი რევოლიუციონური ოპერა „არწივთა აჯანყება". ოპერის შინაარსი ეხება ეკატერინე მეორის მეფობის დროს —გლეხთა აჯანყებას, პუგაჩოვის მეთაურობით და წარმომდგენებს ცდას ახალ ოპერის შესაქმნელად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და პაშჩენკოს კარგი ოპერა დაუწერია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პაშჩენკოს ეტყობა დიდი გავლენა მუსორგსკის და რიმსკი-კორსაკოვის. ზოგიერთი მისი პარტიტურის ადგილები მოგაგონებს ჩაიკოვსკის ადგილებს „პიკის ქალი"-დან, მაგ-

რამ კომპოზიტორს მაინც თავისებურობას ვერ წავართმევთ და ეს თავისებურობა, ასე ვთქვათ, ორიგინალობა, სჩანს ოპერის ინსტრუმენტალობაში. ოპერის მთელი სიმძიმე გადატანილია ორკესტრზე და გუნდებზე, ამით პაშჩენკო უახლოვდება მუსიკალურ დრამის სტილს და ამ მხრივ ზოგიერთი ადგილები მართლად საინტერესოა და კომპოზიტორი გვაძლევს მასსიურ პსიხოლოგიურ დრამას.

დადგმაც ძალიან კარგია და ეს ოპერა მიმდინარე სეზონში სახელმწიფო ოპერისთვის კარგ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

მომღერალთა შორის წელს ირჩევიან: სლივინსკაია (დრამატიული სოპრანო) რებეზოვა (მეცცო სოპრანო) მარკოვა (ლირიული სოპრანო) აგრანოვსკი (დრამატიული ტენორი) (სხვათა შორის, საუცხოვო შემსრულებელი კატორღიდან გამოქცეულ ხელოპუშის როლისა ოპერა „არწივთა აჯანყებაში) და კრუზო (ლიტირული ტენორი).

ადგილობრივ ძალებიდან აღსანიშნავია: სანდრო ინაშვილი, რომელიც უსათუოდ დიდი ვოკალისტია და კარგი არტისტი.

დიდ იმედებს იძლევა ტენორი ნ. ქუმსიაშვილი. მან ქართულ ოპერების გარდა რამოდენიმე პარტია იმღერა უცხოეთის ოპერებში და დიდი ყურადღება მიიქცია. განსაკუთრებით ახალგაზრდა მომღერალი კარგად ასრულებს რადამესის პარტიას ოპერა „აიდა“-ში.

სახელმწიფო ოპერა ფართო გზას უხსნის ახალგაზრდა მომღერლებს დებიუტების სახით. ამ რამდენიმე ხნის წინედ ასეთი დებიუტი მისცა ახალგაზრდა მომღერალ ბადრიძეს ოპერა „რიგოლეტო“-ში. მიუხედავად იმისა, რომ ჰერცოგის პარტია დებიუტისათვის დიდ სიძნელეებს წარმოადგენს, ბადრიძემ მაინც სძლია ზოგიერთი ადგილები და დამაკმაყოფილებელი იყო, როგორც დებიუტანტი. მომღერალმა თუ განაგრძო მეცადინეობა, იგი შესაფერის ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე.

სახელმწიფო ოპერის უახლოეს პრემიერად დანიშნულია ზაქ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „ლატავრა“ რომლის დადგმა განზრახულია 20 თებერვლისათვის.

შარშან სახ. ოპერა გადიოდა მუშათა რაიონებში და დგამდა საოპერო სპეკტაკლებს. წელს რუსთაველის პროსპექტს აღარ შორდება. ნუ თუ საჭირო არ არის ისეთ შორეულ მუშათა უბანში გასვლა, როგორიც არის ნაძალადევი? ჩვენ გვგონია, რომ სახელმწიფო ოპერა ამას მაინც უნდა გაუწიოს ანგარიში!

—:—

## ქართული ოპერა „ლატავრა“

ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „ლატავრა“ თავისი მუსიკალური შინაარსით ქართულ საოპერო ლიტერატურისათვის დიდ მიღწევას არ წარმოადგენს. „ლატავრა“ განსაკუთრებით მკრთალად მოსჩანს ქართულ მუსიკის ისეთ შედევრთან, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი“. „ლატავრა“ არამც თუ „აბესალომს“, „დაისსაც“ ბევრნაირად ჩამოუვარდება.

ზ. ფალიაშვილმა თავისი „აბესალომით“ და „დაისით“ მოგვცა უაღრესად რეალური ნაწარმოებები. „ლატავრა-“ს სახით უაღრესად არა რეალური ნაწარმოები. „ლატავრა-“ს ლიბრეტტოს შინაარსი სავსეა სიმბოლიზმის ნალექსით, რომელიც ჩვენ მაოფელმხედველობისათვის სრულიად უცხოა და გაუგებარია. ეს შინაარსის მხრივ.

ფორმის მხრივ: „ლატავრა“ დაწერილია მუსიკალურ დრამის სტილზე. ოპერაში მთავარი ადგილები დათმობილი აქვს საგუნდო ნომრებს, ანსამბლებს და საერთოდ მასსიურ სცენებს. ტეხნიკურად ყოველივე ეს მშვენივრად არის გამართული. განსაკუთრებით ოპერის ინსტრუმენტალობა შესანიშნავია, რაიც მოწმობს კომპოზიტორის დიდ ტეხნიკას, ოსტატობას, მაგრამ ამ ოსტატობას არ ახლავს შინაგანი, ემოციონალური განცდა, მხატვრული შემოქმედება. ოპერა ხალხთა ჰანგების და საერთოდ მელოდიურობის მხრივ მდიდარი არ არის „ლატავრა“-ში ვხედავთ ხშირ განმეორებას ძველ თემებისას „აბესალომიდან“ და „დაისიდან“. განსაკუთრებით კი „დაისიდან“. კომპოზიტორს ამ ძველ ხეხრხისათვის არ უნდა მიემართა.

„ლატავრა“ მართალია წარმოადგენს მუსიკალურ დრამის პათოსს, დრამატიზმს. ოპერის პერსონაჟები მოკლებულნი არიან ნებისყოფას და მოქმედების განვითარების დროს ვერ ვხედავთ მათ სულიერ ბრძოლას. ამიტომ ისინი მაყურებელზე ზე-გავლენას ვერ ახდენენ.

„ლატავრა“-ს მუსიკა ეკლეკტიურია. ჩვენ აქ ვხედავთ ევროპიულ და აღმოსავლურ სტილის მუსიკას. ასეთი სინთები საჭიროც არის. მაგრამ ოპერაში მაინც მკაფიოდ ვერ არის გავლებული აღმოსავლეთის კოლორიტი. ეს ითქმის განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაზე, ენგიჩარ მეფის სცენის შესახებ. აბიის სატრაპის სურათი ვერ არის გადმოცემული. ამ სცენას აკლია აღმოსავლურ ტემპერამენტის სიცხადე. მარტო მუსიკალური ფაქტურა, ტეხნიკური ეფექტები არ იძლევიან ღრმა დრამატიზმს, ეს სცენა კი სწორედ საჭიროებს დიდ დრამატიზმს.

შესრულების მხრივ ოპერას მომღერლები მშვენივრად ასრულებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბასი მესნიაევი, რომელიც ასრულებს ენგიჩარის როლს და მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია ვოკალურის მხრივ ღარიბია, თავისი სცენიური გამოცდილებით მესნიაევი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

კარგად მღერიან: ქუმსიაშვილი (რატი) დანელიანი (ლატავრა), ვოლჩანეცკაია (ნინო) და ვენაძე (ინკუბუსი).

დადგმა ორიგინალურია. მაგრამ კონსტრუქციული სტილი არეულია რეალურთან. განსაკუთრებით კოსტიუმებში ვერ არის დაცული ერთი სტილი.

**მანი**

# წერილი პროვინციიდან

**ქ. ფოთი (საკუთარ კორესპონდენტისაგან)**

ახალგზელთა ორგანიზაციები დღეს ჩვენში უკვე მასიური მოვლენაა. დღეს საქართველოს ყველა ქალაქებსა და ასე თუ ისე თვალსაჩინო დაბებსა და სოფლებში შეხვდებით ახალგზელთა მჭიდროთ შეკავშირებულ ორგანიზაციებს.

საყურადღებოა, რომ ამ მხრივ მუშებს არ დასჭირვებია გამოჩენილი ლიდერების ხელმძღვანელობა. ისინი ნამდვილი მუშური ინსტიკტით მიუხვდენ არსებულ პოლიტიკურ სინამდვილეს და საკუთარი ინციატივით მივიდეთ რევოლიუციასთან. ამ ფაქტს დღეს სხვა ქალაქების ახალგზელთა ორგანიზაციებთან ერთად ქ. ფოთის ორგანიზაციის მუშაობაც ადასტურებს. ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ ამ მუშაობის ერთი მომენტი, წარსული იანრის 23-ს ქ. ფოთში გაიმართა ყოფილ მენშევიკების საჯარო კრება, რომელსაც მოხსენება გაუკეთა თბილისიდან ჩამოსულმა ამხ. ალ. ხელაძემ. მოხსენების საგანი იყო: „ქართველი ემიგრაცია და ჩვენი სინამდვილე“.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა საერთაშორისო პოლიტიკური დე ეკონომიური მდგომარეობა, ილაპარაკა იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც ჩამოვარდა გამარჯვებულ სახელმწიფოებში მსოფლიო ომის შემდეგ. ხაზგასმით აღნიშნა ინგლისის პოლიტიკოსების საერთო ფრონტის შექმნის უნიადაგო ცდა სოციალისტური რუსეთის წინააღმდეგ. ვრცლად დაახასიათა ქართველ მენშევიკების „მოღვაწეობა“ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დაასახელა ის წინააღმდეგობა, რომელიც დამყარდა ჟორდანია-რამიშვილსა და წერეთლის ჯგუფებს შორის. დაბოლოს, მოხსენება დაასრულა ახალ-

გზელების ბრძოლის მიზნებისა და ამოცანების აღნუსხვით და კრებას მოუწოდა უფრო ენერგიულ მუშაობისაკენ.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები. მაგრამ შეკითხვები საქმიანი, სერიოზული და არა დამცინავი, გესლიანი, როგორც ეს წინად. მაგალითად, მუშები ეკითხებოდენ მომხსენებელს: 1) გავრცელდა თუ არა ამნისტია პოლიტ-პატიმრებზე;“ 2) „არსებობს თუ არა ახალგზელთა ორგანიზაციები საბჭოთა კავშირში საქართველოს გარდა“; 3) „რამ მიიყვანა კარლო ჩხეიძე თვითმკვლელობამდე“.. და სხვა. მომხსენებელმა ყველა შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ მუშა-ორატორები. მუშები გულწრფელად ლაპარაკობდენ ყველა მათ მტკივნეულ წარსულზე. მაგალითად, ამხ. ს. უნგიაძე თავის სიტყვაში, როცა იგონებდა აგვისტოს დღეებს სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ აგვისტოს დღეებში დავკარგეთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები; მოტყუებამ და უმეცრებამ ჩვენს რიგებს ჩამოაშორა ჩვენთან შეზრდილი ძველი მებრძოლი მუშები. ამ სავალალო საქმეებში ბრალი ედება ჩვენ ყოფილ ამხანაგებს, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ არიან მოკალათებულნი. კიდევ უფრო მუშური გულწრფელობით აღსავსე იყო ამხ. სამ. მამალაძის სიტყვა. „ამხანაგებო!— დაიწყო მან,—მე ვარ ადგილობრივი ბიუროს წევრი მისი დაარსების დღიდან. მე ვიცი პირველ ხანებში ჩვენ მუშაობას არ ქონდა დამაკმაყოფილებელი ხასიათი. ამხანაგებს შორის არსებობდა უნდობლობა, საქმისადმი გულგრილობა და სხვა. მაგრამ მუშაობის პროცესში მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ამჟამად ამხანაგებსა და ჩვენს შორის არსებობს ნდობა სრული ასი პროცენტით. დავალებებს ამხანაგები ასრულებდენ დაუზარებლად. ეს კი მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენ სწორად ვმუშაობთ. რომ ჩვენ ნამდვილ მუშურ საქმეს ვაკეთებთ და მუშებთან ერთად ვართ“. შემდეგ ილაპარაკეს ბ. კომახიძემ, სპ. ქოქსაძემ და სხვებმა, რომელნიც სიამოვნებით ადასტურებდენ ამხანაგების ენერგიულ მუშაობას.

დასასრულ, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ქართველ ემიგრაციის მუშაობა მიუღებელია მშრომელ საქართველოსთვის, როგორც სოციალისტურ, ისე ნაციონალისტური თვალთსაზრისით“. ამიტომ კრება მოუწოდებს ყველა მშრომელ ელემენტებს გვერდში ამოუდგეს საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და დაიცვას ის“.

რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა კრებისა და ადგილობრივ ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. მელიტონ მგალობლიშვილმა, რომელმაც სხვათა შორის, სთქვა: ისტორიის ფურცლებზე აღინიშნა ჩვენი თანდათანობითი მიღწევები. ისტორია ამართლებს ჩვენს მუშაობას. ჩვენ კომუნისტურ პარტიასთან ერთად მუშაობით ვამყარებთ სოციალიზმს, ვქმნით კაცობრიობისათვის საუკეთესო მერმისს და იქვე არ არის გამარჯვებით დავაზოლოებთ მარქსისა და ენგელსის ანდერძს. ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ სოციალიზმის განსახორციელებლად კომუნისტურ პარტიასთან ერთად. დღეს ჩვენს რიგებში დგანან 25,000 ძველი მენშევიკები. ეს არის ს. ს.-დ. მ. პარტიის აქტივი. ჩვენი ყოფილი ბელადები აცდენ კლასობრივ ბრძოლის გზას, ისინი დღეს იბრძვიან ბურჟუაზიასთან ერთად მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ. ტყუილი იმედბი აქვთ ჟორდანია-რამიშვილს. დღეს, ს. ს.-დ. პარტია არ არსებობს. მისი აქტივი უკვე შეუერთდა კომუნისტურ პარტიას. ახალგზელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ჟორდანია-რამიშვილის ავანტიურისტულ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ის. კ—ძე.

# ყოფ. სოც.-დემ. მენშევიკის ხმა

შ იმ დროს, როდესაც მუშური ხელისუფლება გიგანტიურ მუშაობას აწარმოებს ქვეყნის აყვავება-აღორძინებაში: იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ერებთა შორის შუღლი და მტრობა და დაამყარა მათ შორის ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა; იმ დროს, როდესაც ასე დიდი კულტურული და ეკონომიური მუშაობა სწარმოებს, ქვეყნის ასაღორძინებლად სოციალიზმის გასამარჯვებლად, ყოველი პატიოსანი მშრომელის მოვალეობაა ხელისუფლებას გვერდში ამოუდგეს, გაიზიაროს მისი ჭირი და ლხინი—ხე ლი შეუწყოს მის გამაგრება-განმტკიცებას; სამწუხაროდ, ეს ჯერ ვერ შეუგნია ყველას. კიდევ მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ხელს უშლიან ხელისუფლებას ამ მუშაობაში.

თუ სად მიგვიყვანს ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობა და როგორ ზიანს მიაყენებს ქართველ ხალხს, ამას ნათლად გვიჩვენებს 1924 წ. აგვისტოს ამბებით მიღებული მწარე გაკვეთილი.

მთელი ეს პოლიტიკური აუზ-ზაური ესაჭიროება ევროპის კაპიტალისტების საქმეს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა ჩვენთვის, გასაგები უნდა გახდეს და არ უნდა წამოვეგოთ იმ ანკესზე, რომელიც თვითონ ჩვენ წინააღმდეგ არის მიმართული. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავივიწყოთ ის უკუღმართი და სისხლიანი გზა, რომელზედაც ჩვენ მივყავდით ამ გზას.

დღეს კი უნდა ამოუდგეთ გვერდით ხელისუფლებას, მასთან ვიმუშაოთ. მეც ჩემი ღრმა რწმენით და შეგნებით ვემიჯნები ძველ დამღუპველ გზას და ყველას გასაგონათ ვაცხადებ, რომ მივდივარ ხელისუფლებასთან, როგორც პატიოსანი მოქალაქე, რათა გავიზიარო მისი ჭირი და ლხინი.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მის ავანგარდ— კომპარტიას!

თ. გუმბერიძე.

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.